ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საარბიელო

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 9 აგვისტო 2001 №149 (1422) | ფასი 50 თეთრი

UEFA CUP

## კუტუზოვი ცალი თვალით ძველ დინამოს უყურებს მეორეს გვიბრიალებს

„ბატე" და მისი ლიდერი ვიტალი კუტუზოვი დიდ გულზე არიან. გუშინ თბილისს ჩამოსულმა ბელარუსებმა „ეროვნულზე" ვარჯიშის მერე ჩვენთან სალაპარაკოდ რომ მოიცალეს, ჯერ იყო და, 80-იანი წლების თბილისის „დინამოზე" კრძალვით ისაუბრეს, მერე კი, უეფას თასის შემდეგ ეტაპზე ჩვენ უნდა ვითამაშოთო, დაჯერებით გვითხრეს.



ვიტალი კუტუზოვი

პრობლემებმოჭარბებული ნოდიას „დინამოც" არ აპირებს თავის შერცხვენას და მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად ყველა გამარჯვებაზე ფიქრობს. ცხადია, კარგია, როცა მატჩის წინ ასეთი განწყობაა, თუმც საკითხავი ისაა, სიტყვა და საქმე თუ შეამხანაგდებიან.

ახლა უეფას თასზე მოთამაშე მეორე ქართულ გუნდზეც ვთქვათ. გუშინ „ლოკომოტივის" კაპიტან კახა გოგიჩაიშვილს მალტაში შევეხმიანეთ და იქაურ ამბები გვკითხეთ.

— თბილისიდან ჩარტერული რეისით კი გამოვფრინდით, მაგრამ მაინც გაგწვალდით, მალტაში ამ დილით, 4 საათზე ჩამოვედით. აქ ძალიან ცხელა, დაახლოებით 45 გრადუსია, თუმც ახლა, საღამოხანს, ცოტა აგრილდა. „ტა ქალის" სტადიონზე უკვე ვივარჯიშეთ და ახლა „ბირკირკარას" ერთ-ერთი მატჩის ფირის სანახავად ვემზადებით, რომელიც მასპინძლებმა დაგვახვედრეს. გუნდში ნორმალური ვითარებაა, გამარჯვების იმედად ვართ და ვფიქრობ, არც უნდა გაგვიჭირდეს.

იხილეთ მესამე გვერდი




კოპენჰაგენი — ლაციო. ფერნანდესმა გუნდის სახელის გატეხვას საკუთარი თავის გატეხვა არჩია და სახელოვან სტუმრებს აჯი გაუტანა კიდეც

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა ნელ-ნელა ემსგავსება იმას, რასაც ნაღდი ლიგა ჰქვია.

ჩვენი ნაცნობი „კოპენჰაგენი", „ტორპედო" რომ გამოგვიგდო, არ „ლაციოს" შეუშინდა და 2:1 მოუგო. რომაელები გვარამაძის ერთ-ერთი დამჩაგვრელის ფერნანდესის თავდაუზოგაობამ გატეხა — იგი ჯერ გატეხილი თავით დაემუქრა „ლაციოს" კარს, მერე კი ფეხით შეაგდო.

„ლაციოზე" მეტად წახდა მეორე იტალიური გუნდი „პარმა" და ისიც ვისთან — „ლილი" მხოლოდ ერთი სეზონია, პირველ ფრანგულ დივიზიონში რომ თამაშობს.

შოთა არველაძემ მაშინ გაიტანა, როცა „სელტიკი" უკვე არხეინად იყო. ამ გამარჯვებით გლაზგოელებმა თამაშამდე ცოტა ხნით ადრე აიაქსელ ფანთაგან სასიკვდილოდ გამეტებული სქოთი ქომაგისთვის იძიეს შური.

გაიმარჯვა ცხრაკაცა „ჰაიდუკმაც", რომელმაც ვაჟკაცურად გაუძლო „მალიორკას", მაგრამ თუ მართლა გამარჯვებაზეა ლაპარაკი, „ლივერპულის" „ჰაკასთან" 5:0 უნდა ვახსენოთ.

და „ბარსელონა", უფრო სწორად კი რივალდო, რომლის ჯადოქრობის გარეშე მისი თანაგუნდელები, კრაკოვში მოგებას ვინ ჩივის, ლიგის კვალიფიკაციაშიც ვერ მოხვდებოდნენ.

იხილეთ მეორე გვერდი

## ცხოვრება მაინც შავი და თეთრია

Edmonton 2001

## მძლეოსნობა თანდათან გუნდური სახეობა ხდება

გასაკვირია, მაგრამ ედმონტონის მსოფლიოს პირველობაზე დიად სამძლეოსნო ქვეყნებად მიჩნეული ამერიკისა და რუსეთის შემდეგ მედლების ცხრილში მოდის ლატაკი ეთიოპია, რომელსაც თავის გამოჩენა მხოლოდ გრძელ დისტანციებზე სირბილში შეუძლია და ეთიოპები ამ საქმეს ჯერჯერობით სანაქებოდ აკეთებენ: ქალების 10 კილომეტრზე მათ ყველაზე მდარე მედალიც არვის დაუთმეს და სულ თვითონ შეავსეს პოდიუმი. ჯერ კიდევ არ ურბენია დიდ ეთიოპელს, ჰაილე გებრესილასიეს. ცხადია, მისგანაც ოქროს ელიან, ხოლო რუმინელმა გაბრიელა საბომ საშინლად დაწყებული სეზონის კულმინაციისას აიწყვიტა და პირველი ოქროს მედალი უკვე დაიმსახურა 1500 მეტრის უსწრაფესად გარბენისთვის. თუ საბო სიტყვას გადათქვამს და 5 კილომეტრზეც ირბენს, შანსი ექნება, გახდეს ალბათ ერთადერთი, ვინც ედმონტონს ოქროს დუბლით დატოვებს.

იხილეთ მეცხრე გვერდი




პოლა რედკლიფმა (ბოლოში) 10 000 მეტრზე ეთიოპურ ლეგიონს ვერაფერი დააკლო




გაბრიელა საბოს (მარჯვნივ) გამარჯვება პირველად თვისტომმა ვიოლეტა ბეკლია-სეკელმა მიულოცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

კოპენჰაგენი (დანია) 2:1 ლაციო (იტალია)

0:1 კრესპო (55), 1:1 ლაურსენი (73პენ), 2:1 ფერნანდესი (85)

გალათასარაი (თურქეთი) 2:1 ლევსკი (ბულგარეთი)

1:0 უმითი (9), 2:0 უმით დავალა (74), 2:1 ივანოვი (78)

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:0 ლევერკუზენი (გერმანია)

აიაქსი (ჰოლანდია) 1:3 სელტიკი (შოტლანდია)

0:1 პეტა (7), 0:2 აგათი (19), 1:2 არველაძე (40), 1:3 სატონი (55)

ვისლა (პოლონეთი) 3:4 ბარსელონა (ესპანეთი)

1:0 პატერი (21), 1:1 რივალდო (29პენ), 2:1 პატერი (30), 2:2 რივალდო (32), 3:2 ფრანკოვსკი (38), 3:3 კლუივერტი (54), 3:4 რივალდო (71)

ჰალმსტადი (შვედეთი) 2:3 ანდერლეხტი (ბელგია)

1:0 სვენსონი (13), 1:1 სეოლი (56), 1:2 ბასი (66), 2:2 სელაკოვიჩი (76), 2:3 მორნარი (87)

პორტუ (პორტუგალია) 2:2 გრასჰოპერი (შვეიცარია)

1:0 პარადესი (7), 1:1 ნუნესი (51), 1:2 პეტრიჩი (57), 2:2 პოსტიგა (59)

გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) 0:0 ფენერბაჰჩე (თურქეთი)

გაძევება: მოლსი (55, რეინჯერსი)

ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 3:3 რუსენბორგი (ნორვეგია)

0:1 ბრატებაკი (8), 1:1, 2:1 ლემბაკოალი (50, 63), 3:1 დროზნაკი (68), 3:2 სკამელსტრუდი (78), 3:3 სელვ-მელი (88ს.კ.)

სლავია (პრაღა, ჩეხეთი) 1:2 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

0:1 ლივეროპულოსი (26), 0:2 კარგოუნისი (55), 1:2 კუკა (72)

პარმა (იტალია) 0:2 ლილი (საფრანგეთი)

0:1 ბასირი (47), 0:2 ეკერი (80)

სტიაუა (რუმინეთი) 2:4 დინამო (კიევი, უკრაინა)

0:1, 0:2 ბელკევიჩი (8პენ, 26), 1:2 ტრიკა (30), 1:3 იდაორი (43), 2:3 ტრიკა (53), 2:4 მელაშჩენკო (63)

ჰაკა (ფინეთი) 0:5 ლივერპული (ინგლისი)

0:1 ჰესკი (32), 0:2, 0:3 ოუენი (56, 65), 0:4 ჰიიპია (86), 0:5 ოუენი (90)

ჰაიდუკი (ხორვატია) 1:0 მალიორკა (ესპანეთი)

1:0 ბილიჩი (20)

გაძევება: რენდულიჩი (46), კარევიჩი (90) (ორივე „ჰაიდუკი")

*საპასუხო მატჩები — 21-22 აგვისტოს*




ვისლა — ბარსელონა. „ბარსელონას" რივალდომ მოაგებინა




აიაქსი — სელტიკი. ჰოლანდიელთა ერთი გოლი შოთა არველაძემ (წინ) გაიტანა



ცრვენა ზვეზდა — ლევერკუზენი. ორივე მეტოქემ ხელი კი გამოიდო, მაგრამ 0:0




ჰაკა — ლივერპული. მაიკლ ოუენმა რივალდოსავით სამი გაიტანა



აიაქსი — სელტიკი. მატჩი „სელტიკმა" მოიგო, ჩხუბი ამსტერდამის პოლიციამ

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

**შვეიცარია**

მეექვსე ტურის მატჩის გადათამაშება

ლუგანო 2:1 ლოზანა

დინამო

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

დინამო — ბატე

თბილისი. „ეროვნული“. ტევადობა 70 900. 9 აგვისტო. 20 საათი

ბატე

# ვინ შექმნის ოცი წუთის ისტორიას?

## ნოდიას მხოლოდ ერთის ეშინია

დღეს თბილისის „დინამოს“ კიდევ ერთხელ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში კი მეცხრედ, მოუწევს ევროტურნირებში თავისი და ქართული საკლუბო ფეხბურთის პრესტიჟისთვის ბრძოლა. რვა წლის წინ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, „დინამო“ პირველი ქართული გუნდი იყო, ევროპული სარბიელი რომ დააჭაშნიკა და დინამოელებს მაშინაც გივი ნოდია წვრთნიდა. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და კვლავ მორიგი ცდა, კვლავ ნოდიას „დინამო“.



გივი ნოდია

**ათბზის** ჩემპიონმა გუშინაც კი, თამაშის წინადღეს ორჯერ ივარჯიშა. თუმც დილას მხოლოდ ნახევარსაათიან მოთელვას დასჯერდა, საღამოს კი ერთ საათზე ოდნავ მეტი წაივარჯიშა.

ადრეც გაუწყეთ, რომ „დინამოს“ ბელარუსებთან ტრავმირებული ზაზა ზირაქიშვილი, ჯონი შალამბერიძე და ვახტანგ იაგორაშვილი მოაკლდებიან. მაგრამ პრობლემები ამით არ ამოწურულა — დღეს მიხეილ მაზიაშვილიც ვერ ითამაშებს, რომელიც გაცივდა და გუშინ საღამოს მაღალი სიცხე ჰქონდა.

ვარჯიშით კი ერთობ ხალისიანად ივარჯიშეს ნოდიას ბიჭებმა — მონდომებასა და კარგ განწყობას მათ ნამდვილად ვერ დაუკარგავდით. ჯერ თავისებური ხელბურთი გააჩაღეს, ვარჯიში აზროვნებაზე, გახსნაზე, ოღონდ, გოლი მხოლოდ თავურით უნდა გასულიყო. მერე ისევ ორკარა ერთი შეხებით, ბოლოს კი დარტყმებში წაივარჯიშეს.

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ მთავარ მწვრთნელს, **გივი ნოდიას** ვთხოვეთ ინტერვიუ.

— ალბათ, თქვენც შეამჩნევდით, რომ განწყობა კარგია. ფეხბურთელებს „ბატეს“ თამაშის ფირი ვაჩვენეთ და მერე მატჩი გავარჩიეთ. ამასთან დაკავშირებით ბიჭებს სპეციალური თეორიული მეცადინეობაც ჩაუტარდათ.

**— მაზიაშვილს მანწკავათი შეცვლით?**

— ნახევარდაცვაში მანწკავას გავამწესებთ, თუმც შესაძლოა გადაადგილებები მოხდეს და სხვა ისეთი ფეხბურთელიც ვათამაშოთ, ვისაც ეროვნული ჩემპიონატის პირველ ორ ტურში არ უთამაშია, რადგან ზოგიერთ პოზიციაზე რამდენიმე ფეხბურთელით უკმაყოფილო ვარ. თანაც მეტოქის ძლიერი მხარეებიც უნდა გავითვალისწინოთ. საერთო ჯამში კი ცვლილებები მინიმალური იქნება.

**— „დინამომ“ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ორ ტურში ერთი გამოკვეთილი ფორვარდით და ორი ინსაიდით ითამაშა. არ აპირებთ, „ბატეს“ თავდამსხმელთა ტანდემი დაუპირისპიროთ?**

— იმ ორ მატჩში ერთი ფორვარდის თამაშით უფრო კმაყოფილი ვარ.

**— ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ბობოხიძეს თავდასხმაში მიკუჩაძეს შეუწყვილებთ?**

— ვაპირებთ, რომ მიკუჩაძე ვათამაშოთ, მაგრამ ამას თამაშის დღეს გადავწყვეტთ.

**— „ბატე“ უმეტესწილად ორი ფორვარდით თამაშობს — კუტუზოვი და ბეგანსკი. მათ პერსონალურ მეურვეებს მიუჩენთ თუ ზონურ დაცვას ამჯობინებთ?**

— ვფიქრობ, რომ ზონური დაცვის თამაში ჯობია. კოლექტიური თამაში უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა, რომ მეტოქე შევბოჭოთ.

**— გუნდმა ევროტურნირზე უნდა ითამაშოს და სტანდარტული სიტუაციების დახვეწა, დამეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია. დღევანდელ ვარჯიშზე კი ამაზე არ გიმუშავიათ...**

— მანამდე სტანდარტული სიტუაციების დამუშავებას საკმაო ყურადღებას ვაქცევდით, დღეს კი უბრალოდ მატონიზირებელი ვარჯიში ჩავატარეთ.

ჩვენ ერთის გვეშინია — ძალიან მონდომებულები ვართ და ფსიქოლოგიურად არ გადავიწვათ.

**— გულშემატკივრის ფაქტორზე რას იტყოდით — თუ სტადიონზე ბევრი ხალხი მოვა, ეს ხომ დიდად წაგადგებათ.**

— მიმაჩნია, რომ არ არის სწორი, გულშემატკივარს მოუწოდო, სტადიონზე მოვიდეს. გუნდის თამაშმა, ფეხბურთელების შემართებამ უნდა განაწყოს ქომაგი ამისთვის. ვფიქრობ, ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული თამაშების გათვალისწინებით, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები უნდა მოვიდნენ „ბატესთან“ მატჩზე.

**— „დინამო“ მეტოქეზე უკეთ არის მზად?**

— პროგნოზების კეთება რთული საქმეა და არ მიყვარს. ისე კი, ალბათ, პირველ ოც წუთში გამოჩნდება ძალთა თანაფარდობა.

მთავარ მწვრთნელთან საუბრის შემდეგ ფეხბურთელებსაც გამოველაპარაკეთ.

***არჩილ სახვაძე***

— ამდენი ხანია, „დინამოში“ ვარ და ასეთი მონდომება და განწყობა აქამდე არ მინახავს. „ბატესთან“ სათამაშოდ ყველანი მხოლოდ იმ იმედით გავდივართ, რომ გავიმარჯვებთ. მგონი, მოვიგებთ.

**— შენი საფირმო ჩაწოდებების და კუთხურების იმედი უნდა გვქონდეს?**

— კუთხურებს ვიტალი დარასელიაც აწვდის. ღმერთმა ქნას, ეს ჩაწოდებები წარმატების მომტანი იყოს.

***გიორგი შაშიაშვილი***

— „ბატეს“ თამაშის ფირს ვუყურეთ და ვფიქრობ, ჩვენი მეტოქე კარგი გუნდია, კარგ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ შეგვწევს ძალა მის დასამარცხებლად.

**— მცველი ხარ და „ბატეს“ ფორვარდ ვიტალი კუტუზოვზე რას იტყოდი?**

— ის საკმაოდ კარგი თავდამსხმელია, თუმც არა ისეთი, რომ „დინამომ“ მისი შეჩერება ვერ შეძლოს. ყველანაირად ვეცდებით მის გაუვნებლებას.

***კოკა მიკუჩაძე***

— მართალია, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ორ ტურში არ მითამაშია, მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის. მზად ვარ, ვითამაშო. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, „ბატეს“ მოვუგოთ.

**— ნანახი ფირის მიხედვით, „ბატეს“ დაცვაზე რას იტყვი?**

— „ბატე“ კარგი გუნდია, ხოლო რაც ფირზე ვნახეთ, დაცვის ხაზი მის ყველაზე სუსტ რგოლად გამოიყურებოდა. ძალიან კარგი იქნება თუ თბილისშიც ასე ითამაშებს „ბატე“.

**დავით თავართქილაძე**



„ბატემ“ „ეროვნული“ დაიწუნა

# დინამოს ქომაგი კუტუზოვი დინამოს ემუქრება

**ხუთი საათი** სრულდებოდა ბელარუსის „ბატე“, „დინამოს“ დღევანდელი მეტოქე, ჩარტერული რეისით თბილისს რომ ესტუმრა. ბორისოველთა დელეგაცია დაახლოებით 40-კაციანია, 18 ფეხბურთელი, კლუბის წარმომადგენლები ახალგაზრდა პრეზიდენტ ანატოლი კაპსკის ხელმძღვანელობით და რამდენიმე ჩვენი კოლეგა. „ბატე“ სანზონაში, სასტუმრო „ოდაში“ დაბინავდა, ჟურნალისტებმა „აჭარა“ ამჯობინეს.

საკმაოდ ახალგაზრდული, თუმც კი ერთობ ღონიერი გუნდი ჩანს „დინამოს“ მეტოქე. ბელარუსებმა ეროვნულზე გუშინვე ივარჯიშეს და ცოტა არ იყოს, დაიწუწუნეს კიდეც, აქაოდა, ბორისოვის 9-ათასიან სტადიონზე ისეთი მინდორია, აქაურს არც შეედრებაო.

საათი და თხუთმეტი წუთი ავარჯიშა იური პუნტუსმა შეგირდები. მოთელვას კვადრატი მოჰყვა, ორკარა, სტანდარტული მდგომარეობების გათამაშების დამუშავება და განტვირთვა. ვახსენეთ, ფიზიკურად ძლიერი ჩანსო დინამოელთა მეტოქე და ბარემ, „დინამოს“ მწვრთნელთათვის ისიც ვთქვათ, განსაკუთრებით საშიში და საფრთხო, ბორისოველთა ლიდერი ***ვიტალი კუტუზოვი*** რომ არის — ნებისმიერი მდგომარეობიდან კარში დამრტყმელი და ვერცხლისწყალივით მოძრავი.

— განწყობა ჩინებულია, თბილისში საბრძოლველად ჩამოვედით და მხოლოდ ჩვენთვის დამაკმაყოფილებელ ანგარიშზე ვიფიქრებთ — გვითხრა ვიტალი კუტუზოვმა ნავარჯიშევს, იქამდე რომ ერთობ მხიარულობდა და ჩვენს ფოტორეპორტიორს ეოხუნჯებოდა-ხოლმე — ჩვენ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი გვაქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ.

***— თქვენთვის დამაკმაყოფილებელი ანგარიში როგორია? ცხადია, მოგებას არ ვგულისხმობ.***

— 2:2, 3:3 ძალიან კარგი იქნება.

***— „დინამოზე“, როგორც ვიცით, ბევრი ინფორმაცია არ გაქვთ.***

— არა, მხოლოდ „დინამოს“ ბოლო მატჩი გვაქვს ნანახი და მეტი არაფერი. ისე კი, თქმა რად უნდა, „ბატე“ „დინამოს“ ეთამაშება გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მინსკისა და თბილისის „დინამოს“ ვქომაგობდი. ახლა კი ამ გუნდის მეტოქე, თბილისის „დინამოს“ დიდი პატივისმცემელი ვარ.

**— სახელოვანი უცხოური კლუბები შარშანაც გიწვევდნენ. რატომ არ დატოვეთ „ბატე“?**

— ჯერ ერთი, კონტრაქტი არ მქონდა გასრულებული და მეორე, უმთავრესი — კლუბის ხელმძღვანელობამ მთხოვა და ბორისოვში დავრჩი.

**— წლეულსაც არ დატოვებ „ბატეს“?**

— ალბათ, დავტოვებ. ძლიერი იტალიური და ესპანური კლუბები მიწვევენ. „ბატეს“, მგონი, რომ მალე დავემშვიდობები.

„ბატე“ აბრევიატურაა და ასე იშიფრება, ბორისოვის ავტო-ტრაქტორების ელექტრომოწყობილობების ქარხანა. ბელარუსთა ხელმძღვანელობა და ჩვენი კოლეგებიც, ერთთავად ამას ამბობდნენ, ჩივაძის, ყიფიანისა და მესხის სამშობლოში ვართო და ძველ, საბჭოთა დროებას სიამოვნებით იხსენებდნენ.

— მესხის თამაში არ მახსოვს, მაგრამ კარგად ვიცი, ჩივაძე და ყიფიანი როგორი ფეხბურთელებიც იყვნენ — გვითხრა „ბატეს“ პრეზიდენტმა ანატოლი კაპსკიმ — ახლა კი პირველად ვარ იმ სტადიონზე, სადაც ეს დიდებული ფეხბურთელები თამაშობდნენ. ქართველ ფეხბურთელთა ჩამოთვლა რომ დავიწყო, ვერ გამაჩერებთ.

**— „ბატეს“ რეალური ძალიდან გამომდინარე თბილისში რა შედეგს ელით?**

— ვერ გეტყვით. გააჩნია როგორი თამაში იქნება. „ბატეს“ ერთი მიზანი აქვს — უეფას თასზე რაც შეიძლება ბევრი ეტაპი უნდა გავიაროთ. კარგი იქნება „დინამოს“ გარდა, ერთ-ორ მეტოქესაც თუ დავამარცხებთ.

**— როგორ ფიქრობთ, შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა თბილისშივე გაირკვევა, თუ ბორისოვში?**

— ალბათ, ბორისოვში.

ბელარუსებმა მინდვრის განაპირას ცოტა ამოისუნთქეს და გასახდელს მიაშურეს. ლაპარაკით კი ლაპარაკობენ, მაგრამ ნერვიულობისა არავის არაფერი ეტყობოდა, მშვიდად იყვნენ და ეგებ, თბილისშივე გამარჯვებასაც გეგმავენ?.. ვნახოთ. ისე კი, „დინამოს“ რომ საშიში მეტოქე ჰყავს, ეს, ალბათ, დღესვე გამოჩნდება.

და მაინც, სახელს, თუნდ სხვაგან უკვე წახდენილს, გაფრთხილება სჭირდება. ბელარუსები ხომ ამბობენ, „დინამო“ „დინამოა“. აბა დღეს ვნახოთ „დინამო“ როგორი „დინამოა“...

**ბობა ინასარიძე**



ვიტალი კუტუზოვი ოხუნჯობის ხასიათზე იყო



იური პუნტუსი

# ნეფთჩიმ გიორგი კილასონია მარცხნივ დაიტოვა

**გუშინ** ბაქოში „ნეფთჩისთან“ 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი გიორგი კილასონიამ.

„ნეფთჩის“ დღეს უეფას თასის პირველი ეტაპის საშინაო მატჩი აქვს სლოვენიის „გორიცასთან“ და ქართველი ნახევარმცველის დიდად ეიმედება. აზერბაიჯანელთა სასიხარულოდ, კილასონიასთან მოლაპარაკებები სასიკეთოდ დამთავრდა, თორემ ქართველი მშობლიურ „გორდაში“ დაბრუნებას აპირებდა.

გიორგი კილასონია ორი კვირის წინ გაემგზავრა ბაქოში კლუბის ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხმებით. კონტრაქტის გაფორმებას წინ თითქოს არაფერი არ უნდა დასდგომოდა, მაგრამ „ნეფთჩიმ“ მთავარი მწვრთნელი დაითხოვა, თანაც ფინანსური პრობლემები გაუჩნდა. კილასონია გუნდთან ერთად კი ვარჯიშობდა, მაგრამ სანამ კლუბი პირობებს არ შეუსრულებდა, კონტრაქტზე ხელის მოწერას არ ჩქარობდა.

ამასობაში „ნეფთჩის“ დროებით მწვრთნელად ოქთაი აბდულაევი დაუნიშნეს და გუნდმაც სამი საკონტროლო მატჩი გამართა. ბაქოელებმა 4:0 სძლიეს „უმითს“. ოთხიდან ერთი გოლი კილასონიამ გაიტანა. გიორგი მომდევნო ორ შეხვედრაშიც („შაფასთან“ 1:1 და ბაქოს „დინამოსთან“ 3:2) შეუცვლელად გაისარჯა და აზერბაიჯანული პრესის მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

კილასონიამ სამივე მატჩი მისთვის უჩვეულო, მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა, თუმც ჩვეულად ნაყოფიერად გაისარჯა და „დინამოსთან“ ორ გოლშიც დაიდო წილი. „ვიცი, რომ კილასონია ცენტრში უფრო სასარგებლოა, მაგრამ გუნდის ინტერესების გათვალისწინებით იძულებული ვართ, მარცხენა ფრთაზე ვათამაშოთ“ — განაცხადა „ნეფთჩის“ დროებითმა თავკაცმა ოქთაი აბდულაევმა.

ასე რომ, გიორგი კილასონია დღეს ახალი გუნდის შემადგენლობაში ევროსარბიელზეც მოსინჯავს ძალას. ბაქოში იმედიანად არიან, სლოვენიელებთან გამარჯვების და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებს რეალურად აფასებენ აზერბაიჯანელები.

**ბაატა ძვანტალიანი**

# უეფამ საქართველოს სლოვენიელები და ებრაელები დაუმტკიცა

**დაახლოებით** სამი კვირა დარჩა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩებამდე. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები ზედიზედ ორ საშინაო მატჩს გამართავს: 1 სექტემბერს უნგრეთთან, ხოლო 5 სექტემბერს ლიტვასთან. უეფამ უკვე დაასახელა ამ შეხვედრებზე მომსახურე მსაჯთა ბრიგადები.

კერძოდ, საქართველო — უნგრეთის მატჩს სლოვენიელი მსაჯები განსჯიან: მთავარი არბიტრი დრაგო კოსტა, ასისტენტები — ზორან ნოვარლი და ზარკო ვიდალი, სათადარიგო ბრესკო ჟანდარე კომისარი პორტუგალიელი ანტონიო ჟოზე და სილვა დარიზო იქნება, ხოლო მსაჯთა ინსპექტორი — ჩეხი კარელ ბუნეკი.

5 სექტემბერს საქართველო — ლიტვის მატჩს კი ებრაელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება: მთავარი მსაჯი ჰაილ იაკო, ასისტენტები — ფაი ოსადონი და ეუალ ხატუკა, სათადარიგო ნეირ ლედი. კომისარი შვეიცარიელი ვერნერ მიულერია, მსაჯთა ინსპექტორი კი შოტლანდიელი რობერტ ვალენტინე გახლავთ.

**ბაჩა შალამბერიძე**

# თამაში ცივი ზღვის პირას

**დღეს** საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები ლიტვიურ პალანგაში საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ მიემგზავრება. ქართველების გარდა იქ რუსეთის, მოლდოვის, ლატვიის, ესტონეთისა და მასპინძელთა ნაკრებებიც მოიყრიან თავს. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება. ჩვენებურთათვის კი ეს თამაშები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად ითვლება. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ოქტომბერში თბილისში გაიმართება, ქართველთა მეტოქეები ბოსნიისა და ისრაელის ნაკრებები იქნებიან.

საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს პალანგაში ეს ფეხბურთელები მიჰყავს:

*მეკარეები — დავით ჯვარშეიშვილი (35-ე სკოლა), ზვიად ჩალაძე (ნორჩი დინამოელი);*

*მცველები — დავით ლომაია (მთავარის გლობუსი), ზურაბ ბარაბაძე (ნორჩი დინამოელი), ლაშა ჭელიძე (ტორპედო), ბესო მიქიაშვილი (ყაზბეგი), გიგა კუტივაძე (იმერეთი, ქუთაისი), ანზორ კალაძე (35-ე სკოლა);*

*ნახევარმცველები — გოჩა ხოჯავა (ყაზბეგი), ზაალ ელიავა (ყაზბეგი), ზურაბ კვახაძე (ნორჩი დინამოელი), გივი კაპანაძე (35-ე სკოლა), ვალერი კაციტაძე (ნორჩი დინამოელი);*

*თავდამსხმელები — სანდრო იაშვილი (ვიტ ჯორჯია), ამირან ყველაშვილი (გორი), ამირან უგრეხელიძე (სიონი, ბოლნისი).*

**ბაჩა შალამბერიძე**

# ევროპა აქეთ დაგვეწიოს
## აქ ჩაჭრილი შილაკაძე იქ გაუშვეს

**იქნებ** დროა, ეროვნული ჩემპიონატის უსახურობაზე საუბარი დავასრულოთ. ვინ თქვა, რომ ჩვენი საშინაო პირველობა დაბალი დონისაა? არც ასეა საქმე, ბატონებო. აფერუმ სფფ-ს და სამსაჯო კომიტეტს, ჩემპიონატის დონის ამაღლება ერთი ხელის მოსმით რომ გადაწყვიტეს. ამიერიდან სრული პასუხისმგებლობით შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ ჩვენი ჩემპიონატი უეფას თასის გათამაშებაზე მაღლა დგას. ნათქვამის რომ არ შეგრცხვეთ, დასაბუთებულ არგუმენტს ახლავე წარმოგიდგენთ.

მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველივე ტურის, „ტორპედო“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრის არბიტრს ერთი შეცდომა ძალიან ძვირად დაუჯდა. ალექსანდრე შილაკაძემ ბაქრაძის უსაფუძვლო გაძევებისთვის სამსახური დაკარგა — სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა მკაცრი ვერდიქტი გამოიტანა და შილაკაძეს მსაჯობა აუკრძალა. შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ კაცი ერთი ფეხის გადაბრუნებისთვის ასე დასჯილიყოს, იშვიათია. სფფ-მ შილაკაძე, ფაქტობრივად, გაწირა და ფაქტია, მომხდარს გაცილებით ღრმა მიზეზები აქვს, თორემ ვინ არ შემცდარა. არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მსაჯის ნებსით თუ უნებლიე შეცდომას მატჩის შედეგზე გავლენა რომ მოუხდენია. მაგრამ შემცდარი უარეს შემთხვევაში ერთი კალენდარული თვით თუ დარჩენილა უსაქმოდ. ახლა კი მთავარზეც ვთქვათ. ეს დასჯილ-მოკვეთილი კაცი დღეს ანდორაშია და უეფას თასზე „სენტ კოლომა“ — „პარტიზანის“ შეხვედრას მოემსახურება. ესე იგი, რა გამოდის. სფფ-მ საქართველოს ჩემპიონატიდან მოკვეთილი კაცი ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ გათამაშებაზე მიავლინა. პარადოქსია, არა?.. იქნებ ფედერაციიდან შემომედავონ, შილაკაძე ანდორაში გასამგზავრებლად მანამდე გვყავდა დამტკიცებული, სანამ დავსჯიდითო. მაგრამ დალოცვილებს ხომ შეეძლოთ, მსაჯად გამოუსადეგარი (როგორც თვითონ თვლიან) სხვა არბიტრით შეეცვალათ და უეფასთვის ეცნობებინათ. ანაც თუ შეცვლა არ შეეძლოთ, მსუბუქად მაინც დაესაჯათ ერთი შეცდომისთვის გაწირული... ბარაქალა ფედერაციას.

შილაკაძე ანდორაში სათადარიგო არბიტრადაა გამწესებული, მაგრამ ცხადია, მოედანზე გასვლის შანსი აქვს — ხომ შეიძლება, მთავარ არბიტრ სერგო კვარაცხელიას შეცვლა დასჭირდეს. ამ ორის გარდა ანდორაში ავთანდილ სამხარაძე და იოსებ შალამბერიძეც გაემგზავრნენ. ისინი ასისტენტის ფუნქციებს შეასრულებენ.

მსაჯებზე ვლაპარაკობთ და ბარემ ესაც ვთქვათ, ოთხი ჩვენებური ოცდაერთწლამდელთა მატჩსაც მოემსახურება. ავსტრია — ბოსნიის შეხვედრაზე მერაბ მალაღურაძე, ლევან მიქელაძე, გოჩა ცირდავა და ლევან ფანიაშვილი არიან მივლინებულნი. ეს მატჩი 4 სექტემბერს გაიმართება.

8 სექტემბერს კი უდავოდ სასიამოვნო სამსახურებრივ გარემოში იქნებიან სერგო კვარაცხელია, გურამ ჩიგოგიძე და მამუკა ელიკაშვილი — სამეული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ბელარუს — სლოვაკეთის მატჩს განსჯის. რაც შეეხება სასიამოვნო გარემოს — მოედანზე მყოფი ყველა ფეხბურთელი მანდილოსანი იქნება.

**ბაატა ძვანტალიანი**



ალექსანდრე შილაკაძე

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

# კალენდარი

## პირველი წრე

### პირველი ტური
14 აგვისტო, სამშაბათი
დინამო 2 — ლოკომოტივი 3
დილა — ლაზიკა
მერანი 2 — თსუ
ხობი — მილანი
იბერია — ქობულეთი
15 აგვისტო, ოთხშაბათი
ცხინვალი — თორი

### მეორე ტური
19 აგვისტო, კვირა
თორი — ქობულეთი
მილანი — იბერია
ლოკომოტივი 3 — ხობი
ცხინვალი — დილა
20 აგვისტო, ორშაბათი
ლაზიკა — მერანი 2
თსუ — დინამო 2

### მესამე ტური
25 აგვისტო, შაბათი
დილა — თორი
მერანი 2 — ცხინვალი
დინამო 2 — ლაზიკა
ხობი — თსუ
იბერია — ლოკომოტივი 3
ქობულეთი — მილანი

### მეოთხე ტური
29 აგვისტო, ოთხშაბათი
თორი — მილანი
ლოკომოტივი 3 — ქობულეთი
თსუ — იბერია
ლაზიკა — ხობი
ცხინვალი — დინამო 2
30 აგვისტო, ხუთშაბათი
დილა — მერანი 2

### მეხუთე ტური
7 სექტემბერი, პარასკევი
მერანი 2 — თორი
დინამო 2 — დილა
ხობი — ცხინვალი
იბერია — ლაზიკა
ქობულეთი — თსუ
მილანი — ლოკომოტივი 3

### მეექვსე ტური
16 სექტემბერი, კვირა
თორი — ლოკომოტივი 3
ცხინვალი — იბერია
მერანი 2 — დინამო 2
17 სექტემბერი, ორშაბათი
თსუ — მილანი
ლაზიკა — ქობულეთი
დილა — ხობი

### მეშვიდე ტური
21 სექტემბერი, პარასკევი
დინამო 2 — თორი
ხობი — მერანი 2
იბერია — დილა
ქობულეთი — ცხინვალი
მილანი — ლაზიკა
ლოკომოტივი 3 — თსუ

### მერვე ტური
29 სექტემბერი, შაბათი
თორი — თსუ
ლაზიკა — ლოკომოტივი 3
ცხინვალი — მილანი
მერანი 2 — იბერია
დინამო 2 — ხობი
30 სექტემბერი, კვირა
დილა — ქობულეთი

### მეცხრე ტური
3 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ხობი — თორი
იბერია — დინამო 2
ლოკომოტივი 3 — ცხინვალი
თსუ — ლაზიკა
4 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ქობულეთი — მერანი 2
მილანი — დილა

### მეათე ტური
7 ოქტომბერი, კვირა
ცხინვალი — თსუ
8 ოქტომბერი, ორშაბათი
თორი — ლაზიკა
დილა — ლოკომოტივი 3
მერანი 2 — მილანი
დინამო 2 — ქობულეთი
ხობი — იბერია

### მეთერთმეტე ტური
12 ოქტომბერი, პარასკევი
იბერია — თორი
ქობულეთი — ხობი
მილანი — დინამო 2
ლოკომოტივი 3 — მერანი 2
თსუ — დილა
ლაზიკა — ცხინვალი

## მეორე წრე

### მეთორმეტე ტური
22 ოქტომბერი, ორშაბათი
თორი — ცხინვალი
ლაზიკა — დილა
ლოკომოტივი 3 — დინამო 2
მილანი — ხობი
ქობულეთი — იბერია
თსუ — მერანი 2

### მეცამეტე ტური
26 ოქტომბერი, პარასკევი
დინამო 2 — თსუ
28 ოქტომბერი, კვირა
ქობულეთი — თორი
იბერია — მილანი
ხობი — ლოკომოტივი 3
მერანი 2 — ლაზიკა
დილა — ცხინვალი

### მეთოთხმეტე ტური
4 ნოემბერი, კვირა
თორი — დილა
ლაზიკა — დინამო 2
5 ნოემბერი, ორშაბათი
თსუ — ხობი
ცხინვალი — მერანი 2
ლოკომოტივი 3 — იბერია
მილანი — ქობულეთი

### მეთხუთმეტე ტური
10 ნოემბერი, შაბათი
მილანი — თორი
ქობულეთი — ლოკომოტივი 3
იბერია — თსუ
ხობი — ლაზიკა
დინამო 2 — ცხინვალი
მერანი 2 — დილა

### მეთექვსმეტე ტური
17 ნოემბერი, შაბათი
ცხინვალი — ხობი
ლოკომოტივი 3 — მილანი
18 ნოემბერი, კვირა
თსუ — ქობულეთი
თორი — მერანი 2
დილა — დინამო 2
ლაზიკა — იბერია

### მეჩვიდმეტე ტური
25 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი 3 — თორი
მილანი — თსუ
ქობულეთი — ლაზიკა
იბერია — ცხინვალი
ხობი — დილა
26 ნოემბერი, ორშაბათი
დინამო 2 — მერანი 2

### მეთვრამეტე ტური
29 ნოემბერი, ხუთშაბათი
ცხინვალი — ქობულეთი
თსუ — ლოკომოტივი 3
30 ნოემბერი, პარასკევი
თორი — დინამო 2
მერანი 2 — ხობი
დილა — იბერია
ლაზიკა — მილანი

### მეცხრამეტე ტური
3 მარტი, კვირა
თსუ — თორი
ლოკომოტივი 3 — ლაზიკა
მილანი — ცხინვალი
ქობულეთი — დილა
იბერია — მერანი 2
ხობი — დინამო 2

### მეოცე ტური
8 მარტი, პარასკევი
ცხინვალი — ლოკომოტივი 3
9 მარტი, შაბათი
თორი — ხობი
დინამო 2 — იბერია
მერანი 2 — ქობულეთი
ლაზიკა — თსუ
დილა — მილანი

### ოცდამეერთე ტური
16 მარტი, შაბათი
ლაზიკა — თორი
თსუ — ცხინვალი
ლოკომოტივი 3 — დილა
მილანი — მერანი 2
ქობულეთი — დინამო 2
იბერია — ხობი

### ოცდამეორე ტური
23 მარტი, შაბათი
თორი — იბერია
ხობი — ქობულეთი
დინამო 2 — მილანი
მერანი 2 — ლოკომოტივი 3
დილა — თსუ
ცხინვალი — ლაზიკა

სათასო დღეებია:
12 და 26 სექტემბერი, 16 და 31 ოქტომბერი,
13 ნოემბერი და 4, 8 დეკემბერი, 24 თებერვალი და 6 მარტი.

# ჩემპიონთა ლიგა

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

# კატათაგვობანა დონეცკში

ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ (უკრაინა) 0:2 ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ (გერმანია)
0:1 რიკენი (35), 0:2 ოლისე (73)
**ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ:** ვირტი, სტაროსტიაკი (ლევანდოვსკი 80), ტიმოშჩუკი, პოპოვი, ბლიუტა (ატელკინი 77), ბახარევი, ზუბოვი, ვორობეი, აგაოვა, ოკორონკო, ფლორეა
**ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ:** ლემანი, ევანილსონი, იურგენ კოლერი, ჰეინრიხი, იან კოლერი, როსიცკი (ამოროზო 64), რეინა (სტევიჩი 75), ოლისე, დედე, რიკენი (ბობიჩი 82), მეცელდერი
მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)
32000 მაყურებელი

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ (მოსკოვი, რუსეთი) 3:1 ᲢᲘᲠᲝᲚᲘ (ავსტრია)
1:0 ლეკხეტო (2), 1:1 კირხლერი (19), 2:1 იზმაილოვი (37), 3:1 იგნაშევიჩი (79)
**ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ:** ლიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, ჩუგაინოვი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, ლეკხეტო, მამინოვი, იზმაილოვი, ლოსკოვი (იგნაშევიჩი 75), ობიორა (ბუზნიკინი 73), პიმენოვი (ჯანაშია 61)
**ᲢᲘᲠᲝᲚᲘ:** ციგლერი, ვაზინგერი, კოლერი, ცივისიგი, იბერცბერგერი, კირხლერი, ბრზეჩაკი, პანისი (პრუდლო 32), ხერტნალი, ეზეკი (შარერი 74), გილევიჩი
გაფრთხილება: გილევიჩი, ხერტნალი, ეზეკი, ლოსკოვი, სენიკოვი, მამინოვი, ვაზინგერი
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
16500 მაყურებელი



ლოკომოტივი — ტიროლი. იაკობ ლეკხეტო და ავსტრიელი რობერტ იბერცბერგერი

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ** „ლოკომოტივი" ზედიზედ მეორე წელიწადია ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაძრომას ცდილობს და შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს ეგებ ოცნებაც აიხდინოს. ყოველ შემთხვევაში, პირველი თამაშისა და ამ თამაშის ანგარიშის მიხედვით ასე ჩანს.

მოგეხსენებათ, რკინიგზელთა სტადიონზე რეკონსტრუქციაა და მატჩი მოსკოვის ახლოს, რამენსკოეში ჩატარდა. „სატურნის" სტადიონის პრესლოჟაში სულ 60 ადგილია, მაგრამ ვინაიდან მოთხოვნა 108 აკრედიტაციაზე მივიდა, მედიელებს VIP ადგილების ნაწილიც დაუთმეს...

მთლად ქართველებივით მოქცეულან არა? აქ ცოტა ხანში VIP კი არა, ალბათ, პრესლოჟაშიც ალარ შეგვიშვებენ.

ბილეთებიც ორი დღით ადრე გაყიდულა. ასეთი რამ რამენსკოეს სტადიონს ჯერ არ ახსოვსო — ამბობენ. ხალხი თავისიანების მოგებას ელოდა და მოესწრო კიდეც. „ლოკომოტივმა" თავიდანვე მძლავრად შეუტია და წუთზე ცოტა მეტი იყო გასული, ლეკხეტომ პირველი რომ გაიტანა. თუმცა ვალში არც ავსტრიელები დარჩნენ. მალევე კირხლერი მეკარის სიახლოვეს აღმოჩნდა, მაგრამ ნიგმატულინს ვერ აჯობა, რამდენიმე წამში კი კირხლერმავე ბურთი ძელს მოარტყა.

თამაში მერეც ასე გაგრძელდა. „ლოკომოტივი" ბურთს მეტ ხანს ფლობდა, მაგრამ ავსტრიელები ერთობ სახიფათო კონტრდარტყმებით პასუხობდნენ. ერთი ასეთი გამოხტომა წარმატებით დამთავრდა, გილევიჩმა ჩინებული პასით სწრაფი კირხლერი ისევ ნიგმატულინთან პირისპირ გაიყვანა და 1:1.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა მეორე შეაგდეს. ხოლო მესამე გოლი, რომელიც დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე გავიდა, იშვიათი სილამაზისა გახლდათ. შეცვლაზე შესულმა იგნაშევიჩმა სადღაც 35 მეტრიდან დაარტყა საჯარიმო, ბურთმა ჰაერში მიმართულება შეიცვალა და ცხრიანში აღმოჩნდა.

ჩვენმა ზაზა ჯანაშიამ ბოლო ნახევარ საათს ითამაშა, მაგრამ ჩვეული ჟინიანობის მიუხედავად, ბევრი არაფერი გამოსვლია. ეტყობა, სასურველ ფორმაში ვერ არის და რუსეთის ჩემპიონატის რამდენიმე ტურშიც სათადარიგოთა სკამზე იმიტომ გაამწესეს.

მოკლედ, „ლოკომოტივმა" 3:1 მოიგო და ლიგაში მოხვედრის კარგი პერსპექტივაც აქვს.

დღის მეორე მატჩში „შახტარი" დორტმუნდის „ბორუსიას" მასპინძლობდა. დონეცკიდან კვლავაც ნაცნობი სურათი ვიხილეთ. გადაჭედილი და თითქოს კვამლში გახვეული ტრიბუნები, მასპინძელთა გააფრთებული, მაგრამ ერთფეროვანი შეტევები და გაცილებით მაღალი კლასის „დორტმუნდი". მათიას ზამერს რომ მართლაც სერიოზული გუნდი ჩამოუყალიბებია, დონეცკურმა შეხვედრამაც დაადასტურა. ბუნდესლიგის საწყის ტურებში ხომ გაიმარჯვეს და „შახტართანაც" სიმწყობრითა და გონიერებით მოიგეს.

თავიდანვე, როგორც სჩვევიათ ხოლმე, მასპინძლებმა დიდი ძალებით შეუტიეს, რამდენიმე წუთში სამი კუთხური მოაწოდეს და ერთხელ ანდრეი ვორობეის თავური ხარიხასაც მოხვდა, მაგრამ როგორც კი პირველი ცეცხლი მინელდა, „დორტმუნდი" ნელ-ნელა ვითარების ბატონ-პატრონად გადაიქცა და მოწინააღმდეგეს ისე ეთამაშებოდა, როგორც კატა თაგვს. ამიტომ მინდორზე მიმდინარე ამბები ძალიან ლოგიკური და ცოტა მოსაწყენიც გახდა. 35-ე წუთზე ლარს რიკენის თავურს პირველი გოლი მოჰყვა, რამდენიმე წამში რიკენს მეორეს გატანაც შეეძლო, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან პირდაპირ მეკარეს მოარტყა.

„შახტარი" თითქოს მეორე ტაიმშიც არ ნებდებოდა, მაგრამ მონდომებამ ოსტატობას ვერ აჯობა და ნიგერიელი ოლისეს მეორე გოლიც კანონზომიერი იყო.

მათიას ზამერმა „შახტარი" შეაქო, მართალია წააგო, მაგრამ კარგი გუნდი ჩანსო. „ანგარიში, ცხადია, გვაკმაყოფილებს, მაგრამ წინ კიდევ 90 წუთია, „შახტარი" კი ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით მათი ნახევარდაცვა მომეწონა. ასე რომ, ყველაფერი დორტმუნდში გაირკვევა" — თქვა ზამერმა.

დონეცკელთა მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ კი ისეთები ილაპარაკა, ალბათ თავადაც რომ არ სჯეროდა: „პირველ ნახევარ საათში ყველაფერი კარგად გამოგვდიოდა, მაგრამ მაღალი ტემპის შესანარჩუნებლად ძალა აღარ გვეყო. ვეცდებით დორტმუნდში მოვიგოთ. მათ ხომ პრაქტიკულად ორი მომენტი ჰქონდათ და ორივე გამოიყენეს. რატომ არ შეიძლება ორ კვირაში ჩვენც იგივე გავაკეთოთ?.."

აი, ასეთი „გამოუსწორებელი" ოპტიმისტები არიან დონეცკელი მეშახტეები. ჩვენც რაღა დაგვრჩენია, დაველოდოთ და მერე შევაფასოთ.

**ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



შახტარი — დორტმუნდი. მასპინძელი დანიელ ფლორეა დორტმუნდელმა ევანილსონმა ვერ შეაჩერა

# ინტერტოტოს თასი 2001

## ფინალური ეტაპი

**ᲑᲐᲖᲔᲚᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ) 1:1 ᲐᲡᲢᲝᲜ ᲕᲘᲚᲐ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ)**
0:1 მერსონი (56), 1:1 ხიმენესი (74)
ბაზელი: ცუბერბიულერი, კენოსი, კროიცერი, ჩუგა, ჰ. იაკინი (ბარბერისი 72), ხიმენესი, მ. იაკინი, აზიავონუ, კანტალუპი (ვარელა 57), ერგიჩი, ჩიპერფილდი
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
ასტონ ვილა: ენკელმანი, დელონი, რაიტი, ბერი, ზალანი, ბოატენგი, კაჩლული, დაბლინი (სტოუნი 79), მერსონი (ვასელი 65), ჰენდრი, ჰაჯი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: რაიტი, ვასელი
მსაჯი: ერიკ რომენი (ბელგია)

**ᲢᲠᲣᲐ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 0:0 ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ)**
ტრუა: ერტები, ზავანო, ლეროა (როტენი 63), ტომასი, ბუტალი (საიფი 75), გაზი, გუსე (ჟუკიჩი 63), ამზინი, ბრაჟა, ბერტე, ჩელესტინი
მწვრთნელი: ალენ პერენი
ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, სელიოტი, ჰიუზი, დაბიზასი, სოლანო, ლი, ბელამი (ლუალუა 89), ამეობი (ბასედასი 90), ქუინი, სპიდი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: დაბიზასი
მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**ᲞᲐᲠᲘ ᲡᲔᲜ-ᲟᲔᲠᲛᲔᲜᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 0:0 ᲑᲠᲔᲨᲐ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ)**
პარი სენ-ჟერმენი: ლეტიზი, პაინცე, პოტილონი (ალოიზიო 30), ამატრიენი (სისე 61), დეუ, ანელკა, ოკოჩა, ელ კარკური (პარალო 66), პოჩეტინიო, დომი, მენდი
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
ბრეშა: კასტელაზი, პეტრუცი, ბონერა, ფილიპინი, კალორი, დიანა (ილანა 86), ჟუნტი, ტონი (ტარე 68), რ. ბაჯო, ფილიპინი, კოზმინსკი (მერო 65)
მწვრთნელი: ლეონარდო მენიკინი
გაფრთხილება: ბონერა, დეუ, მენდი, პაინცე
მსაჯი: ტომას მაკარი (შოტლანდია)

*საპასუხო მატჩები — 21 აგვისტო*




ბაზელი — ასტონ ვილა. მასპინძელი მურატ იაკინი ინგლისელთა ალყაში

# სამფროვანი

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲛᲐ** „ასტონ ვილამ" და „ნიუკასლმა", ასევე იტალიურმა „ბრეშამ" ინტერტოტოს თასის პირველი ფინალები სტუმრად ფრედ დაამთავრეს და უეფას თასზე მონაწილეობის შანსი ერთი-ორად გაიზარდეს.

„ვილა" შვეიცარიაში „ბაზელს" დაუზავდა. თანაც 1:1 ხომ 0:0-ზე უკეთესია. ჯერ ბირმინგემელებმა გაიტანეს. მეორე ტაიმის დასაწყისში „საუთჰემპტონიდან" „ვილაში" გადასული ჰასან კაჩლულის დარტყმული მეკარე ცუბერბიულერმა კი მოიგერია, მაგრამ მთლად ხეირიანად ვერა და იქვე მყოფმა პოლ მერსონმა დაამატა და შეაგდო.

საპასუხო გოლიც მეკარის შეცდომას მოჰყვა. „ბაზელმა", რომელსაც „ტოტენჰემის" ყოფილი დამრიგებელი კრისტიან გროსი წვრთნის, დამთავრებამდე თექვსმეტი წუთით ადრე გაათანაბრა. მოგეხსენებათ, „ვილამ" ამ ზაფხულს პორტუგალიური „სპორტინგიდან" ლეგენდარული პიტერ შმაიხელი გადაიბირა, მაგრამ დანიელი დაშავებულია და მის მაგიერ კარს ახალგაზრდა პიტერ ენკელმანი იცავდა.

ენკელმანს ბაზელელი კარლოს ვარელას კარგა შორიდან დარტყმული ბურთი გაუვარდა ხელიდან და ჩასაფრებულმა კრისტიან ხიმენესმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

„მართალია, ენკელმანმა დასანანი შეცდომა დაუშვა, მაგრამ რა გაეწყობა, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. სამაგიეროდ, მერე პიტერმა ორი რთული ბურთი მოიგერია" — თქვა ბირმინგემელთა მენეჯერმა ჯონ გრეგორიმ.

„ნიუკასლი" კი „ვიტ ჯორჯიას" გამამწარებელ ფრანგულ „ტრუას" უგოლოდ დაშორდა. თავისი ვილელი კოლეგისგან განსხვავებით ჩინებულად ითამაშა ჯორდების ირლანდიელმა მეკარე შეი გივენმა. მან რამდენიმე მართლაც დიდებული ბურთი მოიგერია, უკვე მეორე წუთზე კი მასთან პირისპირ დარჩენილ ნიკოლა გუსეს არ გაატანინა.

სტუმართაგან თავის გამოჩენის საუკეთესო შანსი მე-16 წუთზე ჭაბუკ შოლა ამეობის ჰქონდა, მაგრამ ბოლო წამს მეკარე ერტებმა ფეხით აუღო.

საინტერესოა, რომ 21 აგვისტოს საპასუხო მატჩამდე ორი დღით ადრე „ნიუკასლს" პრემიერლიგის გამხსნელი შეხვედრა ელის „ჩელსისთან". სწორედ ამითაა აღშფოთებული ჯორდთა თავკაცი ბობი რობსონი: „ეს უსამართლობაა, უმნიშვნელოვანესი თამაში ლონდონში და ლამის მაშინვე „ტრუასთან" შებმა. განა ასეთი განრიგი ნორმალურია" — წუწუნებს ბებერი ბობი.

ტრუელებს კი თავისი აწუხებთ. მატჩის შემდეგ მათ უეფაში საჩივარი შეიტანეს, აქაოდა, ბრიტანელებს ნოლბერტო სოლანო არ უნდა ეთამაშებინათ, რადგან ეს კაცი ყალბი პასპორტების ამბავშია გარეულიო...

უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს ფრანგული პსჟ და იტალიური „ბრეშა". მასპინძელ პარიზელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამით, ჩემპიონთა ლიგის შარშანდელმა მონაწილე „პარი სენ ჟერმენმა" უეფაზე გასვლის შანსი ფრიად შეიმცირა.

**ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები



REUTERS

სტუმარი ნიკოლა ბურდისო და მასპინძელთა კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი

# ბატისტუტა გაოცდა
## კაპელოს დესაი გაახსენდა

**რომა 3:1 ბოკა ხუნიორსი**
**1:0 ბატისტუტა (28), 2:0, 3:0 გიგუ (52, 83), 3:1 აიტესი (89)**
**რომა: პელიცოლი, ძებინა (ლასისი, ალდაირი), ვალტერ სამუელი, სევილია (ძაგო), ფუზერი (გიგუ), ტომაზი (ლიმა), ემერსონი (ასუნსაო), კანდელა, ტოტი (კასანო), ბატისტუტა (აბელ ბალბო), მონტელა (დელვეკიო)**
**მწვრთნელი: ფაბიო კაპელო**
**60 000 მაყურებელი**

**ახალი სეზონისთვის** იტალიის ჩემპიონმა „რომამაც" დაიწყო აქტიური მზადება. სამშაბათს რომაელები ლიბერტადორესის თასის მფლობელ „ბოკა ხუნიორსს" შეხვდნენ. ეს მატჩი იმითაც იყო გამორჩეული, რომ „რომას" რამდენიმე წლის წინ ბუენოსაირესელთა ამჟამინდელი მწვრთნელი კარლოს ბიანკი ედგა სათავეში.

ჩემპიონის თამაშმა რომში დიდი ინტერესი გამოიწვია. დედაქალაქის „სტადიო ოლიმპიკოზე" სტადიონზე 60 ათასი ქომაგი შეიკრიბა და უნდა ითქვას, რომ ისინი ლამაზი სანახაობის მოწმენი გახდნენ.

„რომამ" ანგარიში 28-ე წუთზე გახსნა, არგენტინელებს გოლი მათმა თვისტომმა და იტალიური კლუბის ლიდერმა გაბრიელ ბატისტუტამ გაუტანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატიგოლი ევროპაში გადმობარგებამდე, სწორედ „ბოკა ხუნიორსის" მაისურით ლაშქრავდა მეტოქეთა კარს.

სკუდეტოს მფლობელთა მომდევნო ორი გოლი უკვე ურუგვაელი გიგუს ანგარიშზეა. მან 52-ე და 83-ე წუთებზე გამოიჩინა თავი. გამოარჩევენ მის ნაყოფიერ თამაშს. გიგუ შეცვლაზე შევიდა და ბუენოსაირესელებს მოსვენება არ მისცა.

არგენტინელებმა კი, ვერაფერი გააწყვეს ფაბიო კაპელოს გუნდთან. ერთადერთი ის იყო, რომ აიტესმა მატჩის მიწურულს პრესტიჟის გოლი გაიტანა. საბოლოოდ — 3:1.

მატჩში კიდევ მოხდა რამდენიმე გამოსარჩევი ამბავი. პირველი, რომაელთა სამწუხაროდ, ის, რომ მათმა მცველმა, სალიუ ლასისმა ფეხი მოიტეხა. ფრანგი ერთ-ერთ ორთაბრძოლაში დაშავდა და როგორც ექიმები აცხადებენ, ტრავმა იმდენად რთულია, რომ მან შესაძლოა ექვს თვეს ვერ ითამაშოს. არადა, 23 წლის ფეხბურთელი „რომამ" ამას წინათ გადაიბირა „ფიორენტინადან".

ლასისის ტრავმამ კიდევ უფრო აალაპარაკა სააგენტოები მარსელ დესაიზე. გავრცელებული ცნობით, ფაბიო კაპელოს „ჩელსიდან" მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის მიწვევა სურს, რათა დაცვის ხაზი კიდევ უფრო გაამლიეროს.

რომაელებმა ლონდონელებს 32 წლის ფრანგის სანაცვლოდ 6 მილიონი დოლარი შესთავაზეს, თუმც „ჩელსი" ჯერჯერობით უარზეა.

„რომას" რიგებში კი პირველად ითამაშა 19 წლის ნიჭიერმა იტალიელმა ანტონიო კასანომ. ეს ფეხბურთელი იტალიის ჩემპიონმა „ბარისგან" 25 მილიონ დოლარად შეიძინა. კასანომ, როგორც გამთამაშებელმა, შეხვედრაში რომაელთა ლიდერი ფრანჩესკო ტოტი შეცვალა. იგი 18-ნომრიანი მაისურით გამოჩნდა მინდორზე. არადა, მოგეხსენებათ, შარშან ამ ნომრით გაბრიელ ბატისტუტა თამაშობდა. თავად არგენტინელმა მომავალი სეზონისთვის 20 ნომერი აირჩია.

**ნიკა ჭუღლაძე**

**ბოლტონი 0:2 ალავესი**
**0:1 მაგნო (7), 0:2 რუბენ ნავარო (90)**

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### სამხრეთ ამერიკა

# სკოლარი ბჭობს, ევროპა იცინის

**პორტო ალეგრიში** თხუთმეტ აგვისტოს ბრაზილიელებს მეტად პრინციპული მატჩი ელით. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ისინი პარაგვაის ხვდებიან. ტეტრაკამპეონების სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე მათ სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ. ლუის ფელიპე სკოლარი ადრეც ამბობდა, რომ ისტორიაში შესვლის სურვილი არა აქვს. არადა, მას მართლაც დიდი შანსი აქვს, გახდეს პირველი მწვრთნელი, რომელიც ბრაზილიელებს მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დატოვებს.

ცხადია, სკოლარის არ სურს ამგვარი თავლაფის დასხმა. ამიტომაც პარაგვაელებთან მატჩისთვის გუნდს ენერგიულად და ჩვეული ემოციურობით ამზადებს. „დიდ ფილს" სპარინგ-პარტნიორიც შეურჩევია. პანამის ნაკრებთან ამხანაგურად გაჯიბრებულ-გავარჯიშებული გუნდი საბოლოოდ უნდა შეთამაშდეს და პორტუ ალეგრიში იმარჯვოს.



ლუის ფელიპე სკოლარი

მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი ასე არაა. სკოლარი ბჭობს, ხოლო ევროპელები იცინიან. ისედაც მძიმე დღეში მყოფ „დიდ ფილს" პარაგვაელებთან ბრძოლისწინა გენერალურ რეპეტიციაზე ევროპულ ბობოლა გუნდებში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება. მიუნხენის „ბაიერნი" ჯოვანი ელბერის, ლევერკუზენის „ბაიერი" კი ლუსიოს ნაკრებში გაშვებაზე უარს ამბობენ. სკოლარის არც იტალიელები სწყალობენ: „პარმა" ტეტრაკამპეონების მწვრთნელს ჟუნიორს და ტაფარელს არ უთმობს, ხოლო ესპანური „ბარსელონას" საქციელმა, შესაძლოა, მთლიანად დაანგრიოს „დიდი ფილის" დაწყობილი გეგმები. კატალონიელებმა რივალდო პოლონეთში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში სათამაშოდ იახლეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელი პანამის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

გაცეცხლებული „დიდი ფილი" ამბობს, ამგვარ პირობებში გუნდის მომზადება წარმოუდგენელიაო და იმასაც დასძენს, რომ ევროპელების საქციელი წინასწარ განზრახულია: „ევროპელები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ძლიერი მეტოქის ჩამოშორებას ცდილობენ. მათი უარი, ფეხბურთელების ნაკრებში გაშვებაზე, სწორედ რომ ამას გვაფიქრებინებს".

სკოლარის და „ბარსელონას" უთანხმოება კი ლამის სკანდალში გადაიზარდოს. კატალონიელები ამტკიცებენ, რომ მათ ბრაზილიელებისგან რივალდოს სალიგოდ დატოვების ნებართვა ჰქონდათ. სამხრეთამერიკელები საწინააღმდეგოს ამბობენ. „დიდი ფილი" ძალიან შორსაც მიდის და „ბარსელონას" სასჯელითაც ემუქრება: „კლუბს (ამ შემთხვევაში „ვისლას"), რომელიც „ბარსელონას" ეთამაშება, შეუძლია ფიფასგან, თამაშის შედეგის მიუხედავად, მოგება მოთხოვოს, რადგან „ბარსელონას" შემადგენლობაში მოთამაშე რივალდო ამ მატჩის დროს, კანონით, ნაკრებში ირიცხება".

უჭირს სკოლარის და მის ნაკრებს. მათ ახლა სჭირდებათ გამხნევება და ამიტომაც დროული იყო ფეხბურთის მეფის, პელეს განცხადება: „მე მჯერა ჩვენი ნაკრების. ბრაზილიელთა გარეშე მსოფლიოს ჩემპიონატი წარმოუდგენელია. მწამს, გუნდი კრიზისიდან გამოვა და კორეა-იაპონიაშიც გაემგზავრება. იმის თქმა იმისა, რომ ტეტრაკამპეონები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდებიან, მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც პატრიოტული გრძნობები არ გააჩნია".

პელე ოპტიმისტური განცხადების შემდეგ ლუის ფელიპე სკოლარისაც გამოექომაგა: „ის შეუძლებელს ვერ შეძლებს. ერთ თვეში ოცნების გუნდის შექმნა წარმოუდგენელია".

ოცნების გუნდი იქით იყოს და სკოლარის და მის შეგირდებს ჯერ სხვა რამ აქვთ გასაკეთებელი. მათ აუცილებლად უნდა სძლიონ პარაგვაელებს. ტეტრაკამპეონებმა ახლახან დასრულებულ კოპა ამერიკაზე პარაგვაელებს 3:1 მოუგეს. პელეც შეგვახსენებს, 1970 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბრაზილიელებმა პარაგვაელები 1:0 დაამარცხესო. მაგრამ თხუთმეტში ბრაზილიელებს სხვაგვარი ომი ელით.

პარაგვაის ნაკრების მწვრთნელმა სერხიო მარქარიანმა უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც ბრაზილიელთა ძლევას შეეცდებიან. პარაგვაელთა განაცხადში სტრასბურელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტიცაა. მარქარიანს, სკოლარისგან განსხვავებით, ევროპელებმა როკე სანტა კრუზი დაუთმეს და მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელი ეროვნული გუნდის სამსახურშია.

პარაგვაელთაგან მხოლოდ კარლოს გამარას აქვს მსუბუქი ტრავმა. სხვა მხრივ, მარქარიანის ბიჭები მზად არიან. ისინი ამჟამად 26 ქულით სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე არიან და კორეა-იაპონიის საგზურის მოპოვების უაღრესად რეალური შანსიც აქვთ.

მარქარიანმა ნაკრებში ამ ფეხბურთელებს უხმო:

*მეკარეები: ხოსე ლუის ჩილავერტი (სტრასბური, საფრანგეთი), ალდო ბოდალია (სერო პორტენო), რიკარდო ტავარელი (ოლიმპა)*

*მცველები: კარლოს გამარა (აეკი, საბერძნეთი), პანფილო ესკობარი (სპორტივო ლუკვენო), პედრო სარაბია (რივერ პლეიტი, არგენტინა), ფრანსისკო არსე (პალმეირასი, ბრაზილია), დანიელ სანაბრია (ლიბერტადი), ხუან კასერესი (სერო პორტენო), დენის კანისა (სანტოს ლაგუნა, მექსიკა)*

*ნახევარმცველები: რობერტო აკუნია (სარაგოსა, ესპანეთი), კარლოს პარედესი (პორტო, პორტუგალია), დიეგო გავილანი (ნიუკასლი, ინგლისი), ესტანისლაო სტრუვაი (ლიბერტადი), გუსტავო მორინიგო (ლიბერტადი), ვიქტორ კვინტარა (პორტუ, პორტუგალია) გვიდო ალვარენგა (სერო პორტენო)*

*თავდამსხმელები: ვირხილიო ფერეირა (სერო პორტენო), როკე სანტა კრუზი (ბაიერნი, გერმანია), ხოსე კარლოსი (ტულუკა, მექსიკა), ხორხე კამპოსი (სერო პორტენო)*

**გიორგი მამარდაშვილი**



პელეს ბრაზილიის ნაკრების სჯერა

# რეალის შიგან მოსაგვარებელი პრობლემები


ფერნანდო იერო

**ეგვიპტურ** „ალ აჰლისთან“ წაგების მერე მადრიდული ფანობა, ცოტა არ იყოს, შეშინდა. შეშფოთება ფეხბურთელებსაც გადასდებიათ, რასაც გუნდიდან მანუელ სანჩისის წასვლის შემდეგ უხუცეს ფეხბურთელად ქცეული კაპიტანი ფერნანდო იერო აღიარებს.

„უკვე თორმეტი წელია, რაც „რეალში“ ვარ და ისეთ სეზონს ვერ ვიხსენებ, დაცვაში პრობლემები არ გვქონოდა.

„რეალის“ მცველობა ურთულესი საქმეა და ყოველი სეზონის წინ ხელმძღვანელობა საიმედო მცველის ძებნითაა დაკავებული. მაგრამ რა ხდება — გაუფორმებენ ვინმეს კონტრაქტს და ათიოდე დღის შემდეგ ახალი მცველის ძებნას იწყებენ. რაც მახსოვს, სულ ასეა.

წინა სეზონში ძალიან კარგი გუნდი გვყავდა, პრიმერადივიზიონი მოვიგეთ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავედით. ახლა უფრო გავძლიერდით — ზინედინ ზიდანი გადმოვიყვანეთ. მაგრამ პარადოქსია — ჩვენს თამაშს უკეთესობისა არაფერი ეტყობა, ვიტყოდი, რომ ჩავარდნაც კი გვაქვს. ვფიქრობ, ამის მიზეზი შეუთამაშებლობაა. თუმცა ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება და, ალბათ, ყველაფერს გამოვასწორებთ. ოღონდ ერთიცაა — ის, რომ მსოფლიოში უძლიერესი შემადგენლობა გვყავს, აბსოლუტურად ყველა ჯილდოს მოგებისთვის საკმარისი არაა. თავდაუზოგავად უნდა ვიმუშაოთ“.

ფერნანდო იეროს ამ მოსაზრებას განავრცობს მადრიდში რა ხანია გავრცელებული აზრი, რომ „რეალს“ შეუძლია, გაანადგუროს ნებისმიერი გრანდი, მაგრამ უსახურად ითამაშოს და დამარცხდეს „მალაგასთან“ ან „ტენერიფესთან“. მიზეზი? კოლორიტული ივან კამპო ზოგჯერ უპატიებელ შეცდომებს უშვებს, ფერნანდო იერო დაბერდა და ასე შემდეგ...

ფაქტობრივად, ფაბიო კაპელოს წასვლის მერე „რეალს“ საიმედო დაცვა არც ჰყოლია — არც კაპელომდე.

ლაპარაკობენ, რომ ნახევარდაცვასა და თავდასხმაში სუპერვარსკვლავებით დახუნძლულ გუნდს უკანა ხაზზე ალესანდრო ნესტა ან ნესტასნაირი კაცი უნდა ჰყავდეს. მაგრამ ნესტას ყიდვას ფლორენტინო პერესის ჯიბე უკვე ვეღარ გასწვდება.

სამაგიეროდ, „რეალის“ სალარო ზინედინ ზიდანისთვის და სტივ მაკმანამანისთვის მანქანების ყიდვას გაწვდა. ცხადია, უბრალო მანქანები არაა. ზიდანს LEXUS RX300 LUXURY, ხოლო მაკმანამანს ამავე მარკის, ოღონდ PREMIUM მოდიფიკაციის ოთხბორბალა მეგობარი ერგო. საინტერესო ისაა, რომ ფეხბურთელები ამ მანქანებით ორი თვე ივლიან და მერე უნდა თქვან, მოსწონთ თუ რაიმე სხვა მარკას ამჯობინებენ.

ეჰ, ამათი პრობლემები...

**გიორგი დარჯანია**

# ზიდანი ესპანეთში აიკრძალება?



ზინედინ ზიდანის მაისურა, შესაძლოა, სასამართლოს საქმედ იქცეს

**ზინედინ ზიდანი** ასტრონომიული სატრანსფერო ღირებულებისა და უდიდესი საფეხბურთო ტალანტის გამო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია. ამიტომაც „რეალის“ მაისურა, რომელსაც ხუთი ნომერი და ზინედინის გვარი ამშვენებს, მრავალთათვის საოცნებო სუვენირია.

ეს ამბავი „სამეფო კლუბის“ მესვეურებმაც კარგად უწყიან და საამქროც ამუშავებულა. წლის განმავლობაში ნახევარი მილიონი ზიდანის ხუთნომრიანი მაისურის გაყიდვა დაიგეგმა. ფეხბურთელში გადახდილი სამოცდახუთი მილიონის ამოღებაში ამგვარ სავაჭრო საქმიანობასაც უნდა შეეტანა „მოკრძალებული“ წვლილი, მაგრამ შესაძლოა, ბიზნესი ჩაწვეს.

მავანი ესპანური ფირმა, რომლის სახელი „რიოხანა ფუნდასიონ 2000“ არაფერს გვეუბნება, გაკადნიერდა და „სამეფო გუნდს“ და მის სპონსორ „ადიდასს“ ზინედინის მაისურებით ვაჭრობის შეწყვეტა მოთხოვა. თუ „რეალი“ თხუთმეტი დღის განმავლობაში ამ საქმიანობას არ შეწყვეტს, მას სასამართლოთი ემუქრებიან. პატარა ესპანურ ფირმას, როგორც თვითონ ირწმუნება, ჭკუა ყველაზე ადრე უხმარია და ზიდანის სახელით გამოშვებული საქონლის პატენტი მანამდე შეუძენია, სანამ ფეხბურთელი რეალელი გახდებოდა. „რეალს“ და „ადიდასს“ ერთში კი გაუმართლათ — „რიოხანა ფუნდასიონ 2000“-ის პატენტი მხოლოდ ესპანეთში ვრცელდება.

საქმე ცხადია, სასამართლომდე მივა.

**გიორგი გამარდაშვილი**

# მგონი, არ იყო...

## ჯეფრი ჰერსტმა ბახრამოვის გოლი გადაიფიქრა

**1966 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჯეფრი ჰერსტის საეჭვო გოლით ინგლისმა გერმანია დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. დღესაც ბევრი ამბობს, რომ გერმანელები უსამართლოდ დაიჩაგრნენ.

ოცი წლის მერე მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში დიეგო მარადონას „ღვთის ხელით“ არგენტინამ ინგლისს მოუგო და მერე ჩემპიონიც გახდა. მაშინ ბევრმა გაიხსენა ოცი წლის წინანდელი ამბავი და ჩათვალა, რომ ინგლისელებს ისევე უსამართლოდ წააგებინეს, როგორც თავად წააგებინა გერმანიას.

გავიდა კიდევ ოთხი წელი და იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გერმანიამ ანდრეას ბრემეს პენალტით დაამარცხა არგენტინა. ახლაც კამათობენ, უნდა დაენიშნა თუ არა მექსიკელ მსაჯ მენდესს პენალტი 84-ე წუთზე.

მოკლედ, ინგლისმა უსამართლოდ დაჩაგრა გერმანია, ინგლისი უსამართლოდ დაჩაგრა არგენტინამ, არგენტინა უსამართლოდ დაჩაგრა გერმანიამ და წრეც შეიკრა.

დიახ, წრე შეიკრა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ჯეფრი ჰერსტის, დიეგო მარადონასა და ანდრეას ბრემეს გოლები მართლაც უსამართლო იყო.

მარადონას „ღვთის ხელზე“ სალაპარაკოც არაფერია — აშკარად ხელი იყო და ეს ფეხბურთელმაც აღიარა.

რაც შეეხება ბრემეს პენალტს, ძნელია იმის მტკიცება, რომ მსაჯს ფინალში, ბოლო წუთებზე ერთი გუნდი არ უნდა გაეწირა. შენიშნა კაცმა დარღვევა და პენალტიც დადო. მენდესის გადაწყვეტილების სისწორეზე გაუთავებლად შეიძლება დავა.


ჯეფრი ჰერსტის ამ დარტყმის მერე გატანილ გოლზე დღესაც დავობენ

ჯეფრი ჰერსტის გოლი კი დღემდე რჩება ყველაზე საკამათო გოლად მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. ტელეკამერა უძლური იყო, ზუსტად განესაზღვრა, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. მაშინ კი პასუხისმგებლობა საკუთარ აზერბაიჯანელმა თანამსაჯმა ტოფიკ ბახრამოვმა აიღო.

მთელი ეს ისტორია კი აი, რატომ გავიხსენეთ — გუშინწინ ინგლისურ „დეილი მეილს“ თავად ჯეფრი ჰერსტმა უთხრა: „მგონი, გოლი არ იყო“.

აქამდე, მთელი 35 წლის მანძილზე, იგი საპირისპიროს ამტკიცებდა.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან

**ჩეხი** თავდამსხმელი მილან ბაროში „ლივერპულმა“ ოსტრავას „ბანიკისგან“ 3,2 მილიონ გირვანქად შეიძინა. თუმცა 19 წლის ფეხბურთელი პრემიერლიგელ თანაგუნდელებს მხოლოდ მომავალი სეზონიდან შეუერთდება. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ბაროში უკვე ჩეხეთის ნაკრებშიც მიიწვიეს. „ლივერპულთან“ მან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „გაისად ზაფხულამდე ისევ „ბანიკში“ დავრჩები, ინგლისში კი შემდეგ გადავალ. ძალიან მოხარული ვარ, რომ ისეთ დიდ კლუბში ჩავირიცხე, როგორიც „ლივერპულია“ — განაცხადა ბარომშა, რომელიც „ენფილდ როუდზე“ მესამე ჩეხი იქნება პატრიკ ბერგერთან და ვლადიმირ შმიცერთან ერთად.

**ინგლისურმა „ჩელსიმ“ ახალგაზრდა მცველი ჯონ ჰარლი ლონდონის მეორე კლუბ „ფულემს“ 3,5 მილიონ გირვანქად მიყიდა. ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშემ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ჟან ტიგანას გუნდს შეუერთდა. იგი, სავარაუდოდ, პრემიერლიგის პირველივე ტურიდან გამოჩნდება „ფულემის“ სასტარტო შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ ჰარლი წინა სეზონში „უიმბლდონში“ იყო განათხოვრებული.**

**ესპანური** „ვალენსიას“ სათადარიგო მეკარე ჯონათან ლოპესი ერთწლიანი იჯარით ქვედალიგურ „ნუმანსიაში“ ითამაშებს. სანტიაგო კანისარესის შემცვლელს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არც წლეულს ჰქონდა და სათამაშო პრაქტიკის მისაღებად მეორედივიზიონურ კლუბში გადასვლა არჩია. „ნუმანსიას“ კარს კი ურუგვაელი ადრიან ნუნიესი იცავს. თუმცა, როგორც მწვრთნელი აცხადებს, მას სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს და ლოპესსაც მისცემენ თავის გამოჩენის შესაძლებლობას.

**შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ თავდამსხმელი მარკუს გეილი „უოტფორდში“ 1,3 მილიონ დოლარად გადაბარგდა. 30 წლის იამაიკელმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იტალიელი მწვრთნელის ჯანლუკა ვიალის გუნდში იგი მეშვიდე ახალწვეულია. „რეინჯერსი“ კი კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, სტივენ კარსონმა დატოვა. 20 წლის ნახევარმცველმა „დანდი იუნაიტედთან“ გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი. გლაზგოურმა კლუბმა კი სანაცვლოდ 150 ათასი გირვანქა მიიღო.**

**ესპანური** „ბარსელონას“ მეკარე ფრანსისკო არნაუსთან „მალაგა“ აწარმოებს მოლაპარაკებას და როგორც კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, იმედი აქვთ, რომ მას „ბარსელონიდან“ უახლოეს ორ დღეში გადაიბირებენ. არნაუს ფაქტობრივად, შანსი არ აქვს, რომ წლეულს კატალონიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს და თავად სურს სხვაგან გადასვლა. „მალაგას“ პრეზიდენტმა სერაფინ როლდანმა განაცხადა: „შეთანხმებას თითქმის მივაღწიეთ, მხოლოდ მცირე ფინანსური საკითხებია მოსაგვარებელი“. როლდანმა ასევე დაადასტურა, რომ „დეპორტივოდან“ არგენტინელი ნახევარმცველის ალდო დუშერის ყიდვას აპირებს.

**ხორვატიის ნაკრების 32 წლის ნახევარმცველის რობერტ პროსინეჩკის ტრანსფერი ინგლისის პირველი დივიზიონის „პორტსმუთში“ შეიძლება ჩაიშალოს. ხორვატს სამუშაო ვიზის მიღებაზე უარი უთხრეს. ასე რომ, შაბათს, პირველი ტურის მატჩი, რომელსაც „პორტსმუთი“ სტუმრად ქეცბაიას „ვულვერჰემპტონთან“ ჩაატარებს უპროსინეჩკოდ ჩაივლის. კლუბი ჩივილს აპირებს. ამავე დროს „პორტსმუთში“ სხვა ახალწვეულის გამოჩენაა მოსალოდნელი. იაპონელმა იოშიჰარუ კავაგუჩიმ შესაძლოა, ახლახან ავტოკატასტროფაში დაღუპული მეკარე აარონ კლავანი შეცვალოს.**


ხავიერ სავიოლას მამა ისე გარდაეცვალა, რომ შვილის ბარსელონურ დებიუტს ვერ მოესწრო.

კატალონიელებთან კონტრაქტზე ხელმოწერის მერე სავიოლა მამის ბარსელონას ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაყვანას აპირებდა, მაგრამ ავადმყოფის, რომელსაც სიმსივნე აწუხებდა, მდგომარეობა გაუარესდა და ხანგრძლივი მგზავრობა შეუძლებელი შეიქნა. თუმცა, ბარსელონაში მკურნალობა შედეგს მაინც არ გამოიღებდა.

„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა სავიოლას კლუბის სახელით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა, ხოლო საჯაროდ განაცხადა, შეძრწუნებული ვართ ამ ამბითო.

ხავიერ სავიოლა ბარსელონაში დღეს ან ხვალ დაბრუნდება.

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ევროპული ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი), ალექს მანინგერი (ფიორენტინა, იტალია); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ბლექბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი), ლუკ იუნგი (ტოტენჰემი), გევინ პიკოკი (ქუინზ პარკ რენჯერსი).**

**ჩელსი:** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი), ფრანკ ლებეფი (მარსელი, საფრანგეთი), ჯონ ჰარლი (ფულემი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), ბოლდვინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი), შონ დოჰერტი (ფულემი), მაიკლ ბოლი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია), დანიელე დაინო (მილანი, იტალია), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), შონ დოჰერტი (ევერტონი), ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), ჯონ ჰარლი (ჩელსი).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი), მილან ბაროში (ბანიკ ოსტრავა, ჩეხეთი).**

**მიდლსბრო:** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია), როი კეროლი (უიგანი).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი), ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), ლუკ იუნგი (ჩარლტონი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## იტალია

**ატალანტა:** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა), სტეფანო ლორენცი (კიევო); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი), ანტონიო კალდერონი (მონცა), ლუკა ძინი (პისტოიეზე), დავიდე ნატალი (მონცა).**

**ბოლონია:** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი), სტეფანო ბია (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ძაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია).**

**ბრეშა:** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), დარიო უბნერი (პიაჩენცა); ანტონიო პიზანო (ასკოლი), აურელიო (კოზენცა); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინონზინი (კოდონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია), ლუკა ტონი (ვიჩენცა), ფედერიკო ჯუნტი (მილანი).**

**კიევო:** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა), პიეტრო მარკონი (ტერნანა), გაუჩო ბალდი (პესკარა), კარლო ფრეცოლინი (ლეჩე), ნიკოლა ჩიოპრიზი (ლოდიჯანი); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა), კრისტიანო კავალი (კარარეზე), ანჯელო ბრუნო (ნაპოლი), ფრანკო როსი (ფაზანო), სიმონე პეროტა (იუვენტუსი), ალენ დელონი (ბაია, ბრაზილია), სტეფანო ლორენცი (ატალანტა).**

**ფიორენტინა:** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ენცო ტავანო (ემპოლი); ლუიჯი აგოსტინი (ტერნანა), ენცო ტავანო (რონდინელა), პრედრაგ მიატოვიჩი (თავისუფალი აგენტი); **რობერტო კასანო (ვოგერა), ეზეკელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა), რობერტო ბარონიო (ლაციო), ალექს მანინგერი (არსენალი, ინგლისი).**

**ინტერი:** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფისორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი), მატეო ფერარი (პარმა), მარკო ფერანტე (ტორინო), ბრუნო ჩირილო (ლეჩე), კრისტიან ბროკი (მილანი), ჯანლუკა ფრეცა (რომა), მარკო ბალოტა (მოდენა), მარკო კანეირა (ბენფიკა, პორტუგალია), ვამპეტა (ფლამენგო, ბრაზილია); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფისორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), კრისტიან მენეზესი (ნასიონალი, ურუგვაი), ოკან ბურუქი (გალათასარაი, თურქეთი), სიქსტო პერალტა (ტორინო), მარტინ რივასი (მალაგა, ესპანეთი), ანსელმო რობიატი (პერუჯა), ნიკოლა ვენტოლა (ატალანტა), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ალბერტო ფონტანა (ნაპოლი), კრისტიანო ძანეტი (რომა), ჯონათან ბინოტო (ბოლონია), მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), დიეგო კანეირა (რეჯინა), სერჟიუ კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ნიკოლა ფრაუ (რომა), გრიგორის გეორგატოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ანდრეს გულიელმინპიეტრო (მილანი).**

**იუვენტუსი:** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), სიმონე პეროტა (კიევო), ჯონათან ბაკინი (პარმა), მარკო ძანკი (პერუჯა), ფაბიო პეკია (ნაპოლი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი), ხუან ესნაიდერი (ტენერიფე, ესპანეთი), ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), სიმონე პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), პაველ ნედვედი (ლაციო), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), დავიდე ბაიოკო (პერუჯა), იაროსლავ სედივეცი (პლზენი, ჩეხეთი), ხუან ესნაიდერი (სარაგოსა, ესპანეთი).**

**ლაციო:** სტეფანო დომიცი (მილანი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), ემანუელე პეზარეზი (ბენფიკა, პორტუგალია), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), რობერტო ბარონიო (ფიორენტინა); **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა), გაისკა მენდიეტა (ვალენსია, ესპანეთი).**

**ლეჩე:** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია), კრისტიანო ლუკარელი (ტორინო), დარიო ვიალი (ვენეცია); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა), კარლო ფრეცოლინი (კიევო), ბრუნო ჩირილო (ინტერი), ფილიპ ბილი (ლევალუა, საფრანგეთი).**

**მილანი:** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია), მატია გრაფიედი (ნაპოლი), ფედერიკო ჯუნტი (ბრეშა), ზვონიმირ ბობანი (სელტა, ესპანეთი), იბრაჰიმ ბა (მარსელი, საფრანგეთი), ანდრეს გულიელმინპიეტრო (ინტერი), დანიელე დაინო (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაგენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), სტეფანო დომიცი (ლაციო), მატია გრაფიედი (ჩეზენა), ლუკა დე ძერბი (სალერნიტანა), გაბრიელე ალდეგანი (მონცა), მოჰამედ ალიუ (მონცა), კრისტიან ბროკი (ინტერი).**

**პარმა:** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი), მატიას ალმეიდა (ლაციო), ნიკოლა მორა (პიაჩენცა), პაოლო პოჯი (პიაჩენცა), პაოლო კანავარო (პარმა), ხონიერ მონტანო (პარმა); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), ნიკოლა მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), მატეო ფერარი (ინტერი), მარკო მარკიონი (ემპოლი), კლაუდიო ტაფარელი (გალათასარაი, თურქეთი), მარტინ ჯეტუ (მონაკო, საფრანგეთი).**

**პერუჯა:** მარკო მატერაცი (ინტერი), ლუკა საუდატი (მილანი), მიროსლავ ზაკეი (ემპოლი), სტეფანო გორეტი (ბოლონია), სტეფანო ლომბარდი (ინტერი), ანსელმო რობიატი (ინტერი), მარკო რივალტა (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პარმა), ფაბიო ლივერანი (იუვენტუსი), დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი), ფაბიან გინაზუ (გვადალახარა, მექსიკა), ალესანდრო პიერი (უდინეზე); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო), მარკო ძანკი (იუვენტუსი), ანდრეა სონჩინი (ვიჯევანო), სეად მუსლიმოვიჩი (უდინეზე), სალვატორე მატრეკანო (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), ალი შემერეზი (ესტეჯლალი, ირანი).**

**პიაჩენცა:** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა), დავიდე ზიტოლო (პიზა), ფაბიო მატეასი (ვერონა); **პალმიერი (სალერნიტანა), ფაბიო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა), ჯუზეპე კრისტანე (რავენა), პაოლო ორლანდონი (რეჯინა), პაოლო პოჯი (პარმა), ნიკოლა მორა (ტორინო), დარო უბნერი (ბრეშა), ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (ნაპოლი), ამაური (ნაპოლი).**

**რომა:** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), ნიკოლა ფრაუ (ინტერი), აბელ ედუარდო ბალბო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა), დავიდე ფრეცა (სავოია), ჯანლუკა ფრეცა (ინტერი), სებასტიან სეხარი (ნიუელ ოლდ ბოიზი, არგენტინა).**

**ტორინო:** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), ნიკოლა მორა (პარმა), ედუარდო არტისტიკო (კროტონე), რიკარდო მასპერო (დერბი ქაუნთი, ინგლისი), კრისტიან შვოკი (ვიჩენცა); **პიერლუიჯი პაოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი), კრისტიანო ლუკარელი (ლეჩე), დანიელე კომოტო (ვიჩენცა), ფაბიო პეკია (იუვენტუსი), მარკო ფერანტე (ინტერი), სტეფანო ტურკეტი (ანკონა).**

**უდინეზე:** სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო), მორტენ ბისგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), სეად მუსლიმოვიჩი (პერუჯა), მასიმო მარჯოტა (ტერნანა); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია), სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), ალესანდრო პიერი (პერუჯა), დიმიტრიოს ნალიცისი (პაოკ საბერძნეთი), სამუელ კაბალიერო (?, ჰონდურასი), მარკოს პაულუ (კრუზეირო, ბრაზილია), დავიდ დი მიკელე (სალერნიტანა).**

**ვენეცია:** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლო (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა), სტეფანო პედონე (კომო), ანჯელო ტოფანინი (პადოვა), კლაუს იბერტსბერგერი (ტიროლი, ავსტრია); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანუელ კარერი (ალიანსე, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), სამუელ დე ფრანჩესკი (სალერნიტანა), პაოლო კულო (ასკოლი), მეტ ბიანკი (პისტოიეზე), დანიელ ანდერსონი (ბარი), დარიო ვიალი (ლეჩე), სტეფანო ბელე (აკილა).**

**ვერონა:** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო სგრინა (ვიჩენცა), ემანუელე ფერარეზე (ჩიტადელა), მირკო ცვიტანოვიჩი (ვენეცია); **ანტონიო დილიზო (კალიარი), ადაილტონი (პარმა), ადრიან მუტუ (ინტერი), ჯოვანი ალიეტი (პისტოიეზე), კარლო ტეოდორანი (მილანი), ფაბიო მატეასი (ვერონა), ჯანლუკა კოსუ (ლუმეცანე), ანტონიო პიოვანელი (ჩიტადელა), ლუიჯი ფილიპინი (ნიცა, საფრანგეთი), ანტონ სერიჩი (პარმა), პაოლო კანავარო (პარმა), ხონიერ მონტანო (პარმა).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ედმონტონი (კანადა). 3-12 აგვისტო

# საბო იგებს და იმუქრება

## სიხარულმა დაკარში კარდაკარ ჩამოიარა




REUTERS ედმონტონიდან

იფსი მორენოს უროს ქნევა სხვებზე კარგად სცოდნია

**არ** ამოწურულა სკანდალი ოლგა ეგოროვას თაობაზე. ახლა დოპინგ ეპოს ხმარებაში ეჭვმიტანილი რუსი ერთია იმ მრავალთაგან, რომელთა სისხლსა და შარდს ედმონტონში ყურადღებით სწავლობენ მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (იააფ) მედიკოსები. ეგოროვა პირველად პარიზის „ოქროს ლიგაზე“ ჩავარდა, ედმონტონში ჯერ არ უშვებდნენ, მერე კი დაუშვეს რუმინელი გაბრიელა საბოს პროტესტის მიუხედავად. ოლიმპიური ჩემპიონი იმუქრებოდა, თუ ეგოროვას დაუშვებენ, ჩემი ფეხი არ იქნება 5000 მეტრიან დისტანციაზეო. მუქარა ძალაშია, საბომ კი პარალელურად ერთი სახეირო საქმეც გააკეთა — გუშინწინ 1500 მეტრი მოიგო.

რუმინელმა რუსები არ გაახარა. სლავები მთელი გზა ცდილობდნენ საბოს გადასწრებას ნატალია გორელოვას ხელმძღვანელობით, მაგრამ დასკვნით წრეზე თვისტომს შეეშველა ვიოლეტა ბეკლია-სეკელი და ცხადი გახდა, რომ პოდიუმი თითქმის რუმინელებს დარჩებოდათ. შემდეგ სეკელიმ მოინდომა საბოს გასწრებაც, მაგრამ ამაოდ. მთელი სეზონის ჩავარდნათა შემდგომ (რასაც პირადად იგი რუსი კონკურენტების უპატიოსნობით ხსნის და არა თავისი ფორმიდან ამოვარდნით) საბომ წლის მთავარი შეჯიბრი მოიგო და ხასიათი გამოიკეთა, რაც ეგოროვას საქმისადმი მის პოზიციასაც დაეტყო.

„ახლა წავალ და დავიძინებ — თქვა მან მოკლედ — დილას კი გადავწყვეტ, ვირბენ თუ არა“.

საბოს მენეჯერმა მასმედიას განუმარტა, სტაიერი გადაწყვეტილებას მეორე დღეს, ედმონტონის დროით 10 საათზე გამოაცხადებსო, ჩვენ კი ჯერ არაფერი ვიცით.

ეჭვი არ არის, საბოს პოზიციას შერბილებას არა მარტო გამარჯვება, არამედ კოლეგა პოლა რედკლიფის პოზიციაც განაპირობებდა. ბრიტანელს დოპინგის გამოკვეთილ მოწინააღმდეგედ იცნობენ, მაგრამ ამჯერად საბოს ურჩია, ბოიკოტზე ხელი აიღეო.

„ყველა სტაიერმა უნდა გამოთქვას პროტესტი ეგოროვას ამბავზე — თქვა ჯერ რედკლიფმა — დოპინგთან ბრძოლა მარტო შესაბამისი სამსახურების საქმე არაა, სპორტსმენებსაც ეხებათ“.

შემდეგ რედკლიფმა (ის კროსში მსოფლიოს ჩემპიონია) ირბინა 10 ათასი მეტრის ფინალი და ეთიოპთაგან ჩაგრული უმედლოდ დარჩა. გაწბილებულმა ბრიტანელმა მაინც მოიცალა ჟურნალისტებისთვის.

„ყველამ უნდა ირბინოს — თქვა მან საბოს მისამართით — მესმის მისი პოზიცია, მაგრამ ეგოროვას საქმეს, მგონი, უფრო შეცდომის სუნი უდის“.

იმ 10 კილომეტრიან გარბენზე ბევრს არას გეტყვით, რადგან ეთიოპელთა გუნდური უპირატესობა მეტად აშკარა იყო. დერარტუ ტულუმ, ბერანე ადერემ და გეტე ვამიმ რბოლა თავიდან ბოლომდე აკონტროლეს. ფინიშთან რედკლიფი გარღვევას ცდილობდა, მაგრამ მისი შეჩერება დაღლილმა ვამიმ იკისრა, ტულუმ და ადერემ კი ცხარე სპრინტი გამართეს ჩემპიონობისთვის, რომელიც ტულუმ 4 მეასედი წამით მოიგო.

ეს ამბავი გახლდათ 7 აგვისტოს დასკვნითი ფინალი, მანამდე კი რიგი ბატალიები შედგა სიგრძეზე ხტომასა და სირბილში. კიდევ ათჭიდელებმა დაასრულეს ორდღიანი ბრძოლა და ტომაშ დვორაკმა 8902 ქულით გაიმარჯვა.

ჩეხი განსაკუთრებით სიგრძეზე ხტომაში გამოირჩა, სადაც პირადი რეკორდი დაამყარა, მერე კი ჟურნალისტებს ასე უთხრა:

„ჩემი მიზანი 8700 ქულა იყო, შედეგი კი ბევრად მეტი და მშვენიერი გამოვიდა, ამიტომ ბედნიერი ვარ“.

გარდა იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, დვორაკის ასპარეზობა ისტორიაში ბევრი არაფრით შევა, რადგან გვარიანი უკლია სანიშანსვეტო 2000 ქულამდე, რომელსაც ათჭიდის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ ჩეხმა რომან სერბლემ გადააბიჯა.

„რეკორდის დამხობაზე არც მიფიქრია — აღიარა დვორაკმა — მსოფლიოს ჩემპიონატი რეკორდზე საფიქრალი ადგილი არ არის“. ახლა ჩეხი მეორე ათჭიდელია, ვინც ზედიზედ 3-ჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი. ადრე ამგვარად ამერიკელი დენ ობრაიენი მოიქცა 1991, 93 და 95 წლებში. დვორაკი კი პირველი იყო ათენში, 1997 წელს, როცა მან ფინელ ედუარდ ჰამალაინენს გაუსწრო, მერე სევილიაში და ახლა ედმონტონში.

მეორე ადგილი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ერკი ნოოლმა დაიკავა, მესამედ ბრიტანელი დინ მეისი გავიდა, რომელიც პირველი დღის შემდეგ ლიდერობდა. სამეულმა შემდეგ თანამეგობრობის სტადიონზე საპატიო წრე დაარტყა და საერთოდ, სპორტსმენები გულითადად ეპყრობოდნენ ერთმანეთს, ხოლო წლის გმირი, 9026 სარეკორდო ქულის პატრონი რომან სერბლე დალონებულიყო: მან საცოდავი 8174 ქულა დააგროვა და მე-10 ადგილზე გავიდა.

ახლა კი იმაზე, რომ სენეგალს მძლეოსნობის პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს. დასავლეთაფრიკელებს ქართველებივით ენატრებოდათ ერთი მაინც მსოფლიოს ჩემპიონი და იგი სრულიად მოულოდნელად ედმონტონში 400 მეტრიანი რბოლისას გამოეცხადათ.

არსებითად, ედმონტონის 400 მეტრზე მთავარ ფავორიტებს არ ურბენიათ. ოლიმპიური ჩემპიონი კეტი ფრიმენი ისვენებს, თან მთელი სეზონით და, ცხადია, ედმონტონისთვის გამონაკლისს არ დაუშვებდა. მარი ჟო პერეკი სიდნეის ოლიმპიადიდან რომ გაიქცა, იმის შემდეგ მსოფლიოს ემალება და ერთიორჯერ მისი ხმა კი გაისმა, მაგრამ ფრანგებმა აგრეთვე ვერ მოახერხეს ედმონტონში პერეკის ჩაყვანა. და ბოლოს, მსოფლიოს ბრიტანელი რეკორდსმენი კეტრინ მერი ტრავმის გამო არ დარბოდა ჩემპიონატზე.

მოკლედ, უცნობი სახელების ამოტივტივებისთვის მისწრება — გარემო იყო, მაგრამ ემი თიამ მბაკე მეტისმეტად უცნობი გახლდათ საიმისოდ, რომ მისი ჩემპიონობა ვინმეს ეფიქრა. ფავორიტად თვლიდნენ მექსიკელ ანა გევარას და მერე იამაიკელ ლორენ ფენტონს, მაგრამ მბაკემ ორივეს ჩალა აჭამა. რბოლის პირველ ნახევარს სულ სხვა ვინმე წარმართავდა, გერმანელი ვეტერანი გრიტ ბროიერი, რომელიც შორეულ ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო ვიცე-ჩემპიონი და წლეულსაც ნაგვიანევი ალმაფრენა ეტყობა: სეზონის მეორე შედეგი ეკუთვნის, თუმცა ბროიერმა მხოლოდ 200 მეტრს გაუძლო, მოსახვევიდან კი დამფრთხალი ჭაკივით გამოჭენდა მბაკე და დაწინაურდა. უნდა აღინიშნოს, რომ ფინიშის სიახლოვეს 24 წლის სენეგალელმა სიჩქარეს უკლო და ფენტონის გარღვევამ კინაღამ ჩემპიონობა დააკარგვინა, თუმც ფოტოფინიში მაინც მბაკეს მხარეს იყო და ახლა მისი სპორტული ბიოგრაფია მოვყვეთ:

სერიოზულად სირბილი მბაკემ 19(!) წლისამ დაიწყო. ცხადია, იგი ერთ ადგილას არ გაშეშდებოდა დაკარიდან 180 კილომეტრით დაშორებულ კაოლაკში, მაგრამ სერიოზულად მძლეოსნობით დაინტერესდა მხოლოდ მაშინ, როცა სენეგალის დედაქალაქში კოლეჯის სტუდენტი გახდა. ეს ის წლებია, როცა იააფ-ში ნელნელა ავტორიტეტს იხვეჭს სენეგალელი ლამინ დიაკი, რომელიც ღვაწლმოსილი პრიმო ნებიოლოს შემდეგ სულაც ამ დიდი ორგანიზაციის პრეზიდენტი გახდა. დიაკი აქტიურად ცდილობდა სენეგალში მძლეოსნობის პოპულარიზებას და დააარსა საწვრთნელი ცენტრი, სადაც მბაკეს ტალანტი უმალ შენიშნეს და ჩარიცხეს. მაშინ მბაკე 400 მეტრს 55 წამს ანდომებდა, სევილიის მსოფლიოს პირველობაზე 50,77-მდე ჩამოვიდა, წლეულს ოტავაში, ფრანგულენოვანი ქვეყნების თამაშებზე (სენეგალი საფრანგეთის კოლონია იყო) 50,21 უჩვენა, ედმონტონში — 49,86. მოკლედ, მბაკე ვითარდებოდა ევოლუციის კანონების სრული დაცვით, ვნახოთ, სადამდე გააგრძელებს, ედმონტონში კი მისი გულის აჩუყება უსაზღვრო იყო.

„ვმადლობ ყველას, ვისაც ჩემი სჯეროდა და მხარს მიჭერდა — თქვა მბაკემ მხურვალედ — ოქროს მედალს ვუძღვნი ჩემს მწვრთნელს, პრეზიდენტ დიაკს და მთელ სენეგალის ხალხს“.

რაც შეეხება გამარჯვების რეცეპტს, მბაკემ მარტივად თქვა, ჩემი ტაქტიკა იყო სწრაფად დაწყება და დამთავრებაო. „არაფერი განსაკუთრებული არ მომიფიქრებია“ — დასძინა მან.

რუსთა დრამატული უიღბლობა ორ აბზაცს მაინც იმსახურებს. ქალთა სიგრძეზე ხტომაში ორი გრძელფეხა გოგო იბრძოდა პირველობისთვის: ბამბის ქულასავით თეთრი ტატიანა კოტოვა და არანაკლებ ლამაზი ზანგი თუ მულატი, იტალიის მოქალაქე ფიონა მეი. მესამე ცდაზე მეი 7 მეტრსა და 2 სანტიმეტრზე გადახტა და თავისი მეოთხე ცდით კოტოვამ კინაღამ ძარღვები დაიწყვიტა, მაგრამ 1 სანტიმეტრი დააკლდა.

მანდილოსანთა უროს ტყორცნა კი აშკარად ოლგა კუზენკოვას უნდა მოეგო, რადგან ოლიმპიური ჩემპიონი პოლონეთიდან, კამილა სკოლიმოვსკა აშკარად ვერ ტყორცნიდა ტიტულის შესაფერისად. პირველივე ცდაზე კუზენკოვას ურო 70,61 მეტრზე გადაფრინდა და რადგან სხვები 69 მეტრს ვერ აცილებდნენ, კუზენკოვას შემდგომი ცდებისას თავი არ მოუკლავს. და აი, გამოდის უსახელო კუბელი იფსი მორენო, ტრიალებს, ტრიალებს, ტყორცნის და... 70,65 მეტრი, 4 სანტიმეტრით მეტი კუზენკოვას შედეგზე. „დასანანია! — წერს შეწუხებული რუსი კომენტატორი — კუზენკოვას ოქრო რუსეთს გუნდურ პირველ ადგილზე გაიყვანდა“.

**დავით გულუა**




ანდრე ბუხერს (მარჯვნივ) ჩემპიონობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნილს შუმანმაც მიულოცა

REUTERS ედმონტონიდან



პოლა რედკლიფმა უმედლოდ დარჩენა ძალიან განიცადა

### ვაჟები

**800 მ**

1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1.43,70
2. უილფრედ ბუნგეი (კენია) 1.44,55
3. პაველ ჩაპიევსკი (პოლონეთი) 1844,63

**ათჭიდი**

1. ტომაშ დვორაკი (ჩეხეთი) 8902
2. ერკი ნოოლი (ესტონეთი) 8815
3. დინ მეისი (დიდი ბრიტანეთი) 8603

### ქალები

**სიგრძეზე ხტომა**

1. ფიონა მეი (იტალია) 7,02
2. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) 7,01
3. ნიურკა მონტალვო (ესპანეთი) 6,88

**1 500 მ.**

1. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 4.00,57
2. ვიოლეტა ბეკლია-სეკელი (რუმინეთი) 4.01,70
3. ნატალია გორელოვა (რუსეთი) 4.02,40

**ურო**

1. იფსი მორენო (კუბა) 70,65
2. ოლგა კუზენკოვა (რუსეთი) 70,61
3. ბრანუინ იგლზი (ავსტრალია) 68,87

**400 მ.**

1. ემი თიამ მბაკე (სენეგალი) 49,86
2. ლორენ ფენტონი (იამაიკა) 49,88
3. ანა გევარა (მექსიკა) 49,97

**10 000 მ.**

1. დერარტუ ტულუ (ეთიოპია) 31.48,81
2. ბერნე ადერე (ეთიოპია) 31.48,85
3. გეტე ვამი (ეთიოპია) 31.49,98

### ქვეყანათა მონაგარი

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 3 | 3 | 2 | 8 |
| 2. რუსეთი | 2 | 4 | 4 | 10 |
| 3. ეთიოპია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 4. კუბა | 2 | 0 | 1 | 3 |
| 5. ბელარუსი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 6. რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუს ტბაზე ავედით, კოჯორში ვერ წავედით... ევროპისთვის ვემზადებით

**25 აგვისტომდე** ბევრიც არ დარჩა. სწორედ ამ დღეს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე მეორე წრის პირველ შეხვედრას გამართავს სტუმრად ბულგარეთის ნაკრებთან. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ნაკრებმა პირველი წრის სამივე მატჩი მოიგო და ექვსი ქულით ლიდერობს ჯგუფს, რომლის ორი საუკეთესოც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს. ორი აზრი არ არსებობს, ჩვენმა ნაკრებმა ჩინებული სტარტი აიღო, რაზეც ბულგარელთა და ბელარუსთა ძლევაც მეტყველებს, მაგრამ ჯგუფიდან გასასვლელად ეს გამარჯვებები არ კმარა. ქართველებმა სტუმრად ბულგარეთს ან ბელარუსს უნდა სძლიონ, ანდაც სატურნირო თვალსაზრისით სასურველი ანგარიშით დამარცხდნენ, რაც, თუ დღესდღეობით ჩვენს ნაკრებში შექმნილი სიტუაციით ვიმსჯელებთ, იოლი მისაღწევი არ უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ ბულგარეთში გამგზავრებამდე ორ კვირაზე ნაკლები დარჩა და ჩვენს ნაკრებში, რომელიც რამდენიმე დღეა შეიკრიბა, რვა კალათბურთელი ვარჯიშობს. ვახტანგ ნაცვლიშვილი, რამაზ გოგობერიშვილი, არჩილ ჟღენტი, ზვიად ბაბიაშვილი, ნუგზარ კოკოლიშვილი, ნიკა ცქიტიშვილი — ამ კალათბურთელების გარდა ზურაბ ტომარაძემ ნაკრებში გასასინჯად ტყუპ ძმებს, „მაკაბის" უკანახაზელებს, დავით და ირაკლი ბერიშვილებს უხმო. თუმცა ირაკლის წელი სტკივა და ჯერჯერობით არ ვარჯიშობს. გუნდის არასრულ შემადგენლობას რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ნაკრებს თბილისში, ჯოჯოხეთურ სიცხეში, ელექტროენერგიასა და საშხაპეებს მოკლებულ დარბაზში უწევს ვარჯიში. მანამდე კი, დილაობით, მზის ამოსვლამდე, კუს ტბის მიდამოებში ფიზიკურად ძლიერდებიან. მოგეხსენებათ, ჩვენმა ნაკრებმა მიმდინარე ტურნირის დაწყებამდე სლოვენიაში გაიარა შეკრება, რისი შედეგიც მის სადებიუტო მატჩებშიც გამოჩნდა. ახლა კი ზურაბ ტომარაძის შეგირდებს ევროპული ტურნე კი არა, აქვე, ყურისძირში, კოჯორში დაგეგმილი შეკრებაც სანატრელი გაუხდათ. პრობლემა უკვე კარგად ნაცნობი გახლავთ, ერთმანეთისთვის გადაბრალების პოლიტიკა — სპორტის დეპარტამენტმა გამოყო, ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა, ხაზინაში თანხები ვერ გამოიძებნა. ამ დროს კი ჩვენი ნაკრები ვარჯიშის ნაცვლად ასეთ პირობებში იტანჯება. ზურაბ ტომარაძეს იმედი აქვს, რომ ნაკრების ასეთ ყოფას მალე ბოლო მოეღება და გუნდი შეძლებს იმ მატჩებისთვის მომზადებას, რომლებსაც ქართული კალათბურთის გადარჩენისა და თვითდამკვიდრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ირაკლი ბერტაია**



საქართველოს ნაკრები კუს ტბის აშარა დარჩა

# პაველ გოოგე: ყველაზე სახიფათო კონკურენტი საკუთარი თავია



პაველ გოოგე

*მომავალ სეზონში ბათუმის „ბასკოს" რუსი პაველ გოოგე გაუძღვება. იგი პირველი უცხოელი მწვრთნელია, რომელიც ქართულ კლუბს ჩაიბარებს. გოოგე გამოცდილი და რუსეთში სახელიანი მწვრთნელია, მის მიწვევას ერთ-ერთ მწვრთნელად მოსკოვის ცსკა-ც ცდილობდა, თუმცა იგი ახლა ბათუმშია და უკვე შეუდგა „ბასკოსთან" მუშაობას. ვისაც უცხოელ მწვრთნელთა ვარჯიშები არ უნახავს, გოოგეს საქმიანობაში ბევრ სიახლეს აღმოაჩენს. რუს სპეციალისტს მუშაობის განსხვავებული სისტემა აქვს. მისი ვარჯიშები ძალიან საინტერესო და ნაყოფიერია. კალათბურთელებთან ურთიერთობისას არც იუმორს ივიწყებს, მაგრამ ამასაც ზომიერად აკეთებს. დისციპლინა და მხოლოდ დისციპლინა — აი ის, რასაც იგი გუნდისგან უპირველესად მოითხოვს. დიდი ხანი არ არის, რაც გოოგე ბათუმში ჩამოვიდა და „ბასკოს" ვარჯიშის ნახვისას პირველ ყოვლისა ეს მოგხვდება თვალში. პაველ გოოგე რომ გაწონასწორებული კაცია, ჩვენთან საუბრისასაც დამტკიცდა, როცა მას ბათუმში ვესტუმრეთ.*

**— როგორ დაუკავშირდით „ბასკოს"?**

— „ბასკოს" ხელმძღვანელობამ მომიწვია. მე ადრეც მქონდა კავშირი ამ კლუბთან და კარგად ვიცნობ მას. შემოთავაზებულმა პირობებმა დამაკმაყოფილა და მეც დავთანხმდი.

**— თქვენით ცსკა იყო დაინტერესებული...**

— მიმაჩნია, რომ აქ უფრო ხელსაყრელი პირობები მექნება ჩემი თავის წარმოსაჩენად. ვფიქრობ, „ბასკოს" უფრო მეტ სარგებელს მოვუტან. მთელ მომავალ სეზონში გუნდის მთავარი მწვრთნელი ვიქნები და მხოლოდ ამ ხნის შემდეგ მივიღებ მიწვევას ნებისმიერი სხვა კლუბისგან, ვინც უნდა იყოს იგი. „ბასკოს" ხელმძღვანელობასთან ამ პირობით ვარ შეთანხმებული.

**— თქვენი კონსულტანტობისდროინდელ და დღევანდელ „ბასკოს" შორის რა განსხვავებას ხედავთ?**

— ამ კითხვაზე პასუხს ჯერ ვერ გაგცემთ. ვარჯიში სულ ახლახან დავიწყეთ, თანაც ბევრი ახალწვეულია. ნოემბრისთვის ყველაფერში გავერკვევი.

**— გუნდი ბევრმა ძლიერმა მოთამაშემ დატოვა. ხომ არ გაგიჭირდებათ ჩემპიონობის შენარჩუნება?**

— ვიცი, ძნელი ბრძოლა გველის.

**— როგორ გგონიათ, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვინ იქნება თქვენი მთავარი კონკურენტი?**

— არ ვიცი, ახლა სხვები როგორ ფორმაში არიან, მაგრამ, ჩემი აზრით, წარმატების მისაღწევად მოთამაშემ, მწვრთნელმა, გუნდმა უპირველესად თავის თავს უნდა გაუწიონ კონკურენცია. თუ ვარჯიშობ, ყველაფერს აკეთებ, რომ უკეთ ითამაშო და დაიხვეწო, თუ შენს თავს აჯობებ, მთავარი ეს არის და სხვებს არ უნდა უყურო. ეს ჩემი პრინციპია.

**— ქართულ კალათბურთზე რას იტყოდით?**

— ძალიან ბევრი პერსპექტიული მოთამაშე გყავთ. თითოეულში დიდი პოტენციალი იგრძნობა.

**— და რა არის საჭირო ამ პოტენციალის რეალიზაციისთვის?**

— საქმისადმი თანამედროვე მიდგომა. ეს ეხება ყველას — მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს თუ ფედერაციას. არ შეიძლება, სპორტული ცხოვრება ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისგან გამოყოფილი იყოს. ამ სფეროების მყარი მდგომარეობა, ჩემი აზრით, მთავარია სპორტის და, კერძოდ, კალათბურთის სწორი მიმართულებით განვითარებისთვის. მთავარია, საზოგადოებაში სტაბილურობა სუფევდეს. ძალიანაც რომ გვინდოდეს, ჩვენმა მოთამაშეებმა მაღალ დონეზე ითამაშონ, ყველაფერი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესა და სახელმწიფოს მხარდაჭერაზე. ბათუმში ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ, აჭარის ხელისუფლებისგან და გუნდის მფლობელთაგან „ბასკოს" დიდი მხარდაჭერა აქვს. მე ამას კარგად ვხედავ. ამის გარეშე ის, რასაც გუნდმა ორი წლის მანძილზე მიაღწია, დარწმუნებული ვარ, არ იქნებოდა. ასეთი თანადგომა საქართველოში ძალიან ბევრ კლუბს არ აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ვთვლი, რომ მათ ყველაფერი დაკარგული აქვთ. ყველაფრის თავიდათავი მონდომება და მუშაობაა.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ მაღალ დონეზე სათამაშოდ მხოლოდ მყარი ფინანსური წინაპირობებია საჭირო?**

— არა, ეს მთავარია. ხომ გაგიგონიათ, სწავლობს ის, ვისაც სწავლა სურს. თუ სახელმძღვანელო არ გაქვს, შეიძლება მისი შეძენა. ცხადია, მყარი მატერიალური დასაყრდენი კარგი სკოლისა და სპეციალისტების გარეშე არაფერს ნიშნავს.

**— თქვენთვის ნაცნობი ქართველი კალათბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

— დიდი ხანია, ვლადიმერ სტეფანიას თამაში არ მინახავს. მათგან, ვინც ამ ბოლო დროს მოედანზე ვნახე, ჩემი აზრით, ყველაზე სასარგებლოდ და წარმატებულად ზაზა ფაჩულია ირჯება. არის კიდევ არაერთი პერსპექტული კალათბურთელი — ბოისა, ცქიტიშვილი და კიდევ რამდენიმე მოთამაშე როგორც სლოვენიაში მოთამაშე, ასევე საქართველოში, მაგრმ, სამწუხაროდ, მათი გვარები არ მახსოვს. „ბასკოშიც" არიან ბიჭები, რომლებიც ქართულ კალათბურთში თავიანთ სიტყვას იტყვიან.

მაგრამ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თვითონ ტალანტი, ცალკე აღებული, არაფერს ნიშნავს. ეს არის, უბრალოდ, ხელსაყრელი სიტუაცია იმისთვის, რომ მონდომებით, მუხლჩაუხრელი შრომითა და, უპირველეს ყოვლისა, კარგი სპეციალისტის ხელმძღვანელობით უმაღლეს დონეზე თამაში შეძლო. თუ პერსპექტიული კალათბურთელი კარგ ხელში არ მოხვდა, ის ვერასგზით განავითარებს თავის ნიჭს. მე აქამდეც ვთქვი და გავიმეორებ, რომ წარმატებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი კარგი პირობებია, რისი მიღწევაც ძლიერი ფინანსური ბაზით შეიძლება. თუ ეს ყველაფერი ექნება კალათბურთელს, მას ყველაფერი გამოუვა. თუ ასეთი პირობების შექმნას ქართული კლუბები მოახერხებენ, ჯობს, ის კალათბურთელები, რომლებიც საზღვარგარეთ თამაშობენ, სამშობლოში დარბუნდნენ. თუ არა და, გამართლებულად მიმაჩნია მათი უცხოეთში წასვლა. ისინი ხომ იქ უფრო მეტს შეიძენენ და ამით თავიანთ ქვეყანას, ეროვნულ ნაკრებს გამოადგებიან. მე კარგად მესმის იმ ხალხის, ვინც ამაყობს იმით, რომ სტეფანია ნბა-ში თამაშობს, ამაზე ხომ მსოფლიოს ყველა კალათბურთელი ოცნებობს. ანაც სლოვენიაში მოთამაშე ქართველები აიღეთ. იმავეს ვიტყვი ზაზა ფაჩულიაზე. ისინი ხომ წამყვან ქვეყნებში თამაშობენ და საკმაოდ წარმატებითაც. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქართული კალათბურთის პოტენციალი დიდია, მაგრამ მის გამოსავლენად ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები წინაპირობებია საჭირო. თუ ეს მოხდება, მაშინ უკვე თამამად ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებს შეეძლება ევროპის ჩემპიონატის საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა.

**— თქვენი გვარი რუსულს არ ჰგავს...**

— ჩემი წინაპრები გერმანელები იყვნენ.

**— საქართველოში ნაცნობ-მეგობრები თუ გყავთ?**

— როგორ არა. მაგრამ ჩემი საუკეთესო მეგობარი გივი ჩინჩალაძეა, რომელიც ბავშვთა მწვრთნელი გახლავთ. მას პირველად ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე შევხვდი. გავიცანი თუ არა, იმ დღიდან დავმეგობრდით. ბევრი რამ, რაც ვიცი, სწორედ მისგან ვისწავლე. მას შეგირდებთან განსაკუთრებული, თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომთხოვნი არ იყო. იგი კალათბურთელს არ ზღუდავდა. სხვა მწვრთნელებისგან განსხვავებით, მოთამაშეს გარკვეულ ჩარჩოებში არ სვამდა. ჩემი აზრით, მწვრთნელის უპირველესი ამოცანაა, მოთამაშეს უთქმელად უგებდეს. სწორედ ეს ღირსება გამოარჩევდა მას. როგორც ვიცი, მან მწვრთნელობას თავი დაანება, რაც შეცდომა იყო. აუცილებლად ჩავალ თბილისში მის სანახავად.

**— ქართულ სამზარეულოს თუ შეეგუეთ?**

— ძალიან მრავალფეროვანი და გემრიელი კერძები გაქვთ. მიჭირს რომელიმე მათგანის გამორჩევა. აი, ჩემს მეუღლეს ტყემალი და მჭადი უზომოდ მოსწონს.

**— ახლა როგორი სიტუაციაა „ბასკოში"?**

— პირველ ყოვლისა, რასაც გამოვარჩევდი, ბიჭების მონდომებაა. ეს განსაკუთრებით ახალგაზრდებზე ითქმის. ვფიქრობ, თუ ასე გააგრძელეს, ბევრს მიაღწევენ. მაგრამ არც ზედმეტად დახარჯვაა სასურველი. ამიტომ სწორად, გეგმაზომიერად ვარჯიშია საჭირო. პროფესიონალიზმი გონიერება და გეგმაზომიერებაა და მეტი არაფერი. პროფესიონალად მაშინ ჩამოყალიბდები, როცა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიხარ წინ და წარმატების მიღწევა ერთი ხელის მოსმით არ გინდა. „ბასკოში" კალათბურთელებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი, რათა ისინი მაღალ დონეზე მოემზადონ. ბრწყინვალე დარბაზი, სატრენაჟორო ოთახი, აუზი, საუნა, კვება — ეს არა მარტო ქართული, არამედ ბევრი რუსული კლუბისთვისაც კი დიდი ფუფუნებაა. ასეთ პირობებზე რუსეთში არაერთი გუნდი ოცნებობს.

**ირაკლი ბერტაია**

34 წლის „როკიტსს“ ერთობ მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. „რაკეტები“ ამაყობენ ზედიზედ მოპოვებული ორი ჩემპიონობით, აგრეთვე თავს იწონებენ ორი ფინალით, ჰაკიმ ოლაჯუონით, მოზეს მელოუნითა და რუდი ტომიანოვიჩით. თუმცა „რაკეტათა“ ისტორია უხვად შეიცავს ისეთ ეპიზოდებსაც, რომელთა გახსენებაც მათ არ სიამოვნებთ. ეს ძირითადად ჩხუბები და აყალმაყალია და ამ მხრივ „ჰიუსტონი“ ჩემპიონია.

„რაკეტების“ თავდაპირველი სარბიელი ქალაქი სან დიეგო იყო, სადაც 1967 წელს დაარსებულმა „როკიტსმა“ საწყისი ოთხი სეზონი გაატარა, შემდეგ კი ფინანსურმა პრობლემებმა აიძულა, სხვა ბინა ეძებნა. 1971 წელს „რაკეტებმა“ თავიანთი რეზიდენცია კოსმოდრომებით და ნავთობსარეწებით განთქმულ ჰიუსტონში გადაიტანეს. დღესდღეობით ამ ქალაქის მცხოვრებნი ბედნიერნი არიან, რომ ასეთი საკალათბურთო გუნდი ჰყავთ. „როკიტსით“ ვინ არ იამაყებს, თუმც ადრე ყველაფერი სხვაგვარად იყო. ჰიუსტონში ახალგადაბარგებულ კლუბს გაუჭირდა ტეხასელთა გულის მოგება. მიუხედავად იმისა, რომ „როკიტსში“ იმხანად ლეგენდარული თავდამსხმელი ელვინ ჰეიესი თამაშობდა, გუნდის შინაური მატჩები ორიოდ ათას მაყურებელს თუ უყრიდა თავს. ზოგჯერ „რაკეტები“ „ლეიკერსს“ და სხვა გრანდებს ასიორასი უსაქმურის თანდასწრებით მასპინძლობდა, ჰეიერსმა არ ისურვა თავისი კარიერის ამგვარ ვითარებაში გაგრძელება და „როკიტსში“ გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ, 1972 წელს, „ბალტიმორ ბულიტსში“ გადავიდა, რომელსაც 1978 წელს ჩემპიონობა მოუტანა.

ჰეიესის სახით „ჰიუსტონმა“ მატჩში საშუალოდ დაახლოებით 25 ქულა და 15 მოხსნა დაკარგა, რაც, ცხადია, უმალ დაეტყო „რაკეტათა“ თამაშის ხარისხს. კლუბის განვითარება რამდენიმე წლით შეფერხდა. სანამ „ჰიუსტონში“ ლეგენდარული მოზეს მელოუნი მივიდოდა, გუნდის ლიდერობა ორმა უბრალო ბიჭმა — რუდი ტომიანოვიჩმა და კელვინ მერფიმ იტვირთა. პირველი 1970 წლიდან „ჰიუსტონშია“, ხუთი „ოლ სტარი“ უთამაშია, შემდეგ კი მუშაობდა კლუბის სკაუტად, მწვრთნელის თანაშემწედ. 1992 წლიდან დღემდე ტომიანოვიჩი „როკიტსის“ მწვრთნელი და ჰიუსტონელთა სათაყვანებელი პიროვნებაა. კლუბის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია მერფისაც. 180-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი დღემდე ითვლება საჯარიმოების საუკეთესო შემსრულებლად ნბა-ს ისტორიაში. 1979-80 წლების სეზონში მან ზედიზედ 78 საჯარიმო შეასრულა ზუსტად, სულ სეზონში 215 სროლიდან კი 206 გამოიყენა (95,8 პროცენტი) და ნბა-ს ყველა დროის რეკორდი დაამყარა. მან, ტომიანოვიჩის დარად, მთელი კარიერის განმავლობაში უერთგულა „როკიტსს“ და მადლიერმა კლუბმა მას და რუდის მუდმივნომრიანი მაისურა უბოძა.

1976 წელს „რაკეტებს“ ბედმა გაუღიმათ, ტომიანოვიჩს, მერფისა და კიდევ რამდენიმე საშუალო დონის კალათბურთელს მოზეს მელოუნი შეუერთდა. მელოუნი ოცი წლის იყო და მიუხედავად ამისა, ორი სეზონი პარალელურ ლიგაში — აბა-ში ჰქონდა ნათამაშევი. მოზესთან ერთად „ჰიუსტონმა“ მწვერვალის დალაშქვრა გადაწყვიტა და აღმართს მძიმედ შეუყვა. „რაკეტებმა“ სულელურად დაკარგეს ერთი წელი. 1977 წელს „ლეიკერსთან“ რიგით თამაშში ჰიუსტონელი კევინ კუნერტი მეტოქე კერმიტ ვაშინგტონს აუხირდა. კინკლაობა მალე ქუჩურ დაკა-დაკაში გადაიზარდა და კალათბურთელებმა ერთმანეთის ცხვირ-პირი დაამტვრიეს. ხშირად გამშველებელს მეტი ხვდება და შუამდგომლისთვის განკუთვნილი მუშტები ტომიანოვიჩსაც ბლომად ერგო. ჩასისხლიანებულ თვალს ვინ ჩივის, მან ყბა მოიტეხა, რამაც ერთი წელი დააკარგვინა. ჯერაც ახალგაზრდა მელოუნს ამით მარჯვენა ხელი მოაკლდა და „ჰიუსტონი“ იმ წელს პლეი ოფში ვერ მოხვდა. ხოლო როდესაც ტომიანოვიჩი მომდევნო სეზონის დასაწყისში მოედანს დაუბრუნდა, ის საკუთარი თავის აჩრდილილა იყო.

1978-79 წლების სეზონში მელოუნმა პიკს უწია. იგი მარტო იგებდა თამაშებს, მისი შემჩერებელი არავინ იყო და სეზონის ბოლოს უძვირფასესი მოთამაშის წოდებაც ერგო. ეს იყო მოზესის პირველი უძვირფასესის ტიტული სამთაგან. ამ მხრივ მას მხოლოდ ოთხი კალათბურთელი სჯობს. მოზესისდროინდელი „ჰიუსტონის“ მწვერვალია 1981 წელს ფინალში გასვლა. იმ სეზონში მელოუნი უძვირფასესის გამოკითხვაში მხოლოდ ჯულიუს ირვინგს ჩამორჩა, სამაგიეროდ, პლეი ოფში ყველა დასავლელს აჯობა. „რაკეტათა“ პირველი მსხვერპლი თვით მრისხანე ჩემპიონი „ლეიკერსი“ იყო. 208-სანტიმეტრიანმა მელოუნმა დაჯაბნა ათი სანტიმეტრით მაღალი ქარიმ აბდულ-ჯაბარი. აღსანიშნავია, რომ 1980-89 წლებში „ლეიკერსი“ მხოლოდ ორჯერ ვერ გავიდა პლეი ოფის ფინალში და ლოსანჯელესელთა წინსვლა ორივე შემთხვევაში „რაკეტებმა“ შეაჩერეს. „ლეიკერსის“ შემდეგ „ჰიუსტონმა“ „სან ანტონიო“ და „კანზას სიტი“ დაიბრიყვა და არსებობის მანძილზე პირველად გავიდა ფინალში. იქ „როკიტსმა“ მასზე გაცილებით გაწონასწორებულ და მძლავრ „ბოსტონთან“ წააგო — 2:4.

მომდევნო, 1981-82 წლების სეზონში, მელოუნის შედეგიანობა მატჩში საშუალოდ სამ ათეულ ქულას ასცდა, იგი მეორედ დაასახელეს სეზონის უძვირფასესად, თუმც მან ვერ შეძლო ზედიზე მეორედ „რაკეტათა“ ფინალში გაყვანა. სეზონის ბოლოს იგი „ჰიუსტონს“ გამოეთხოვა და „ფილადელფიაში“ გადაბარგდა. პირველივე ფილადელფიურ სეზონში მელოუნი მესამედ გახდა უძვირფასესი, ამასთან, მან ჯულიუს ირვინგთან ერთად უძლიერესი დუეტი შექმნა. „სიქსერზმაც“ პლეი ოფში 13 თამაშიდან მხოლოდ ერთი წააგო და ისე გახდა ჩემპიონი, ხეირიანად ვერავინ შეუშალა ხელი. ასე რომ, მოზესის სხვაგან გადასვლა გამართლებული აღმოჩნდა. სამაგიეროდ, „ჰიუსტონი“ ღრმად ჩაიძირა. ტომიანოვიჩი აღარ თამაშობდა, მერფი დაბერებულიყო, „ჰიუსტონმაც“ 1982-83 წლების სეზონი 14 გამარჯვებით, 68 მარცხით და ცხრილის ფსკერზე დაასრულა, ამასთან, საკუთარი ანტირეკორდიც დაამყარა.

განგებამ მაინც ბოლომდე არ გაწირა რაკეტები და 1983 წლის დრაფტში რალფ სიმპსონი, ხოლო 1984 წელს ჰაკიმ ოლაჯუონი არგუნა.

ნბა-ს ყველა ეპოქას ჰყავდა თავისი გიგანტი. მათი ჰიფსომეტრული ზღვარიც ყოველთვის იზრდებოდა. 50-იანი წლების გოლიათი ჯორჯ მაიკენი 208 სანტიმეტრი იყო, 60-იანებში ნბა შეაზანზარა 216-სანტიმეტრიანმა უილტ ჩემბერლენმა, მომდევნო ათწლეული 218-სანტიმეტრიანი ქარიმ აბდულ-ჯაბარისა იყო. 80-იანებში საკალათბურთო სამყარო ახალ გიგანტს ელოდა. როცა 1983 წლის დრაფტში „ჰიუსტონმა“ 224-სანტიმეტრიანი სიმპსონი აიყვანა, იგი ყველამ ნბა-ს ახალ დამპყრობლად ჩათვალა და მას იმთავითვე ეწოდა ახალი აბდულ-ჯაბარი. სიმპსონს მართლაც ჰქონდა ყველა მონაცემები, რათა მისი სახელი ქარიმის, ჩემბერლენის და მაიკენის გვერდით მოეხსენიებინათ, მაგრამ ერთი უზარმაზარი ნაკლიც გაჩნდა — სიავე და თავხედობა ამ კაცის, როგორც სპორტსმენის, გაზრდას აფერხებდა.

როდესაც სიმპსონი მოედანზე იყო, თავისი უზარმაზარი სხეულით თითქოს ყველას ჩრდილავდა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, მისი „ჰიუსტონში“ ყოფნისას გუნდის ლიდერი სულ სხვა კალათბურთელი გახლდათ. 213-სანტიმეტრიანი ნიგერიელი აკიმ ოლაჯუონი (დღეს იგი ამერიკის მოქალაქეა და ჰაკიმი ჰქვია) „ჰიუსტონმა“ 1984 წლის დრაფტში პირველ ნომრად აიყვანა. ოლაჯუონმა 17 სეზონი ითამაშა „ჰიუსტონში“ და ორჯერ აჩემპიონა, ერთხელაც თავად გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და 14 „ოლ სტარში“ მიიღო მონაწილეობა (მასზე მეტი „ოლ სტარში“ მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარს უთამაშია). არსებითად ოლაჯუონმა დაჩრდილა მოზეს მელოუნი და „ჰიუსტონის“ ყველა სხვა ყოფილი თუ მომავალი ვარსკვლავი და ტყუილი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მასზე დიდ კალათბურთელს არ მოურგია „როკიტსის“ წარწერიანი მაისურა.

ჰიუსტონის უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წლის შემდეგ ოლაჯუონი სიამოვნებით მივიდა ამ ქალაქის გუნდში, „როკიტსმაც“ სიხარულით გაუღო მას კარი. ის და სიმპსონი არცთუ ურიგოდ შეეწყვნენ ერთმანეთს და ამ „წყვილ კოშკად“ წოდებული ორი ცენტრით „ჰიუსტონი“ კვლავ შეუყვა აღმართს. 19[illegible] წლის დასავლეთის ფინალში მეჯ[illegible] ჯონსონის და ქარიმის „ლეიკერსმა“ კვლავ ჭამა სირცხვილი „ჰიუსტონთან“. ფინალში „რაკეტები“ ისევ ლარი ბერდის „ბოსტონს“ ემსხვერპლნენ. სწორედ ამ ფინალში მოხდა ნბა-ს ისტორიაში უდიდესი ჩხუბი. რალფ სიმპსონი ერთბაშად მთელ „ბოსტონს“ შეება. მართალია, ბევრი მოხვდა, მაგრამ არც თავად დააკლო თავისი მძიმე ხელი ბოსტონელებს. ეს ვეება კაცი ვერ დააშოშმინეს და მანამ იქნევდა მუშტებს, სანამ არ დაიღალა.

1987 წელს სიმპსონი მწვრთნელ ბილ ფიტჩს ეჩხუბა და კლუბმა იგი „გოლდენ სტეიტში“ გაუშვა. „როკიტსი“ მაინც დარჩა ელიტაში და ყოველთვის გადიოდა პლეი ოფში, სანამ 1992 წელი არ დადგა.

კალათბურთელებმა დაკარგეს თანაგუნდელთა რწმენა და ერთმანეთისადმი პატივისცემა, ისინი გამუდმებით კინკლაობდნენ. თვით ჯენტლმენმა ოლაჯუონმაც კი საჯაროდ აგინა კლუბის ხელმძღვანელობას. იმ წელს „როკიტსი“ პლეი ოფში ვერ მოხვდა და გუნდი დაშლის პირას მივიდა. ბედად, დროულად გამოჩნდა მშველელი. ახალგამომცხვარმა მწვრთნელმა რუდი ტომიანოვიჩმა ყველა სენს უწამლა. მან კალათბურთელები და კლუბის მამები შეარიგა და შეძლო, ჰაკიმის და მისი რაზმის ყურადღება მოედანზე გადაეტანა. რწმენადაბრუნებული „რაკეტები“ მალე არნახულად გაძლიერდნენ და ჩემპიონობასაც შესწვდნენ. 1993-94 წლების სეზონში ოლაჯუონი შეუდარებელი იყო, იგი გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და საუკეთესო დამცველი. ყოვლისშემძლე მაიკლ ჯორდანი კალათბურთიდან წასული იყო და უკვე შეიძლებოდა, სხვებსაც ეფიქრათ ჩემპიონობაზე. „ჰიუსტონმა“ ყველას აჯობა.

1994 და 95 წლების პლეი ოფში „როკიტსის“ მძლეველი არავინ აღმოჩნდა. ტეხასელთა დამარცხების ყველაზე კარგი შანსი ჰქონდა ჩარლზ ბარკლის „ფინიქსს“, რომელიც ორივე პლეი ოფში 2:0 უგებდა „ჰიუსტონს“, თუმც „რაკეტებმა“ ორჯერვე გააბათილეს ჩამორჩენა. 1994 წელს ფინალში ჰაკიმმა დაჩაგრა „მოსისხლე მტერი“ პატრიკ იუინგი და მისი „ნიუ იორკი“ — 4:3, 1995 წელს კი შაკილ ონილის „ორლანდო“ 4:0 გაანადგურა. მეორე ჩემპიონობისას ჰაკიმს გვერდს უმშვენებდა ჰიუსტონის უნივერსიტეტელი ძმაკაცი კლაიდ დრექსლერი, რომელიც „ჰიუსტონში“ იმ წელს „პორტლენდიდან“ გადავიდა.

1996 წელს ამ ორ გიგანტს კიდევ ერთი, ჩარლზ ბარკლიც შეუერთდა და ახლა ამ სამეულმა გაიბრძოლა მესამე ჩემპიონობისთვის, მაგრამ 1997 წელს დასავლეთის ფინალში მათ კარლ მელოუნის და ჯონ სტოქტონის „იუტამ“ აჯობა. ოლაჯუონი, ბარკლი და დრექსლერი ხუთი წლით ადრე რომ შეყრილიყვნენ, საკითხავია, იქნებოდა თუ არა მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგო“ დაუმარცხებელი. მაგრამ ამ ტრიუმვირატის ასაკმა თავისი ქნა. კარიერის დასასრულს სამივე ტრავმებმა შეაწუხა და ისინი მალე დაიშალნენ. 1998 წელს დრექსლერი პენსიაზე გავიდა, თუმც ცოტა ხნით, იგი მშობლიური ჰიუსტონის უნივერსიტეტის გუნდს ჩაუდგა სათავეში. 2000 წელს ტრავმამ ბარკლისაც აიძულა, წასულიყო. ხოლო 2001 წლის ზაფხულში, ანუ სულ ერთი კვირის წინ, ოლაჯუონიც გამოემშვიდობა მშობლიურ გუნდს. თუმც ჰაკიმი საერთოდ არ წასულა კალათბურთიდან. მან კარიერის სხვა გუნდში დასრულება გადაწყვიტა და დღეს „ტორონტო რეპტორზშია“. მართლია, იგი 38 წლის ასაკში ისევე ყოჩაღი ველარაა, როგორც ხუთი წლის წინ, მაგრამ ჰიუსტონში მისი წასვლა ძალიან განიცადეს. ჰაკიმ ოლაჯუონმა ხომ ამდენი სიხარული მოუტანა ქალაქს.

**ირაკლი ფირცხვილი**

### ჰიუსტონ როკიტსი

დაარსდა 1967 წელს
ნბა-ს ჩემპიონი: 1994, 1995
მუდმივი ნომერი: 22 (კლაიდ დრექსლერი), 23 (კელვინ მერფი), 24 (მოზეს მელოუნი), 45 (რუდი ტომიანოვიჩი)
დარბაზი: კომპაქ სენთერი, ტევადობა 16 285

# რაკეტები: გაფრენილან თორემ...



„ჰიუსტონ როკიტსი“ ჰაკიმ ოლაჯუონით ამაყობს





ელვინ ჰეიესი და მოზეს მელოუნი (№2) სხვა გუნდებში გახდნენ ჩემპიონები

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-3 ტური**

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 003 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 006 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 18.30 | 007 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | ზანქტ პაული-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 010 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-3 ტური**

10 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | დუისბურგი-როიტლინგენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 012 | არმინია-ვალდჰოფი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 013 | ბოხუმი-მაინცი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ალემანია-ობერჰაუზენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 015 | უნიონი-ალენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | უნტერჰახინგი-ჰანოვერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-ბაბელსბერგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 018 | აინტრახტი-შვაინფურტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 019 | აინტრახტი-შვაინფურტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

13 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 021 | კარლსრუე-ზაარბრიუკენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**გერმანაა. რეგიონალლიგა (ჩრდ.). მე-3 ტური**

10 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 022 | პადერბორნი-ურდინგენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.30 | 023 | კილი-მაგდებურგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 024 | ფორტუნა-ქემნიცი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.00 | 025 | აუე-ესენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.00 | 026 | მიუნსტერი-ოსნაბრიუკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 027 | დიუსელდორფი-დრეზდენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 028 | ვერდერი(მ)-ლიუბეკი | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.). მე-3 ტური**

10 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 029 | ბურგჰაუზენი-ერფურტი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.30 | 030 | ელვერსბერგი-ფულდა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 21.30 | 031 | შტუტგარტი(მ)-ზიგენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.15 | 032 | დარმშტადი-ბაიერნი(მ) | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.30 | 033 | მანჰაიმი-ოფენბახი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 034 | ვეჰენი-ჰოფენჰაიმი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.30 | 035 | ანსბახი-კიკერსი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.00 | 036 | ტრირი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 037 | აალენი-რეგენსბურგი | 1,7 | 3,4 | 4,0 |

**ინგლისი. I დივიზიონი. 1-ლი ტური**

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 038 | ბრედფორდი-ბარნსლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 039 | ჯილინგემი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | გრიმსბი-ქრიუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 041 | მილუოლი-ნორვიჩი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 042 | ნოტინგემი-შეფილდი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 043 | როტერჰემი-კრისტალ პალასი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 044 | სტოკპორტი-ქოვენთრი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 19.00 | 045 | უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | უიმბლდონი-ბირმინგემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 047 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.15 | 048 | სიტი-უოტფორდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 049 | უენსდი-ბარნლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. 1-ლი ტური**

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 050 | ბლეკპული-რედინგი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 051 | კემბრიჯი-ბრაიტონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 052 | კარდიფი-უიკომბი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 053 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 054 | ჰადერსფილდი-ბორნმუთი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 055 | ნორთჰემპტონი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 056 | პორტ ვეილი-ნოტსი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 057 | ქუინზ პარკი-სტოკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 058 | სუინდონი-პიტერბრო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 059 | ტრანმერი-ბერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 060 | უიგანი-ბრენტფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 061 | რექსემი-ოლდემი | 1,7- | 3,2 | 4,4 |

**ინგლ.სი. III დივიზიონ.ა. 1-ლი ტურს**

11 აგ.ისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 062 | როვერსი-ტორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 063 | კარლაილი-ლუტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 064 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 065 | ექსეტერი-ჰალი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 066 | ჰარტლპული-მენსფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 067 | კიდერმინსტერი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 068 | ლინკოლნი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 069 | მაკლსფილდი-სუონსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 070 | ოქსფორდი-როჩდეილი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 071 | პლიმუთი-შრიუსბერი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 072 | საუთენდი-დარლინგტონი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 073 | იორკი-რაშდენი | 2,2 | 3,3 | 2,8 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-3 ტური**

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 074 | რენი-მონაკო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 075 | ტრუა-ნანტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 076 | სედანი-გენგამი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 077 | პსჟ-სოშო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 078 | მონპელიე-მეცი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 079 | ლანსი-მარსელი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 080 | ბორდო-ლილი | 1,65 | 3,0 | 5,6 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 081 | ლორიანი-ოსერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 082 | ბასტია-ლიონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-3 ტური**

10 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 083 | ლე ავრი-ნანსი | 1,85 | 2,9 | 4,2 |

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 265 | ვასკეალი-კრეტეი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 084 | მარტიგი-ბოვე | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 085 | სენტ ეტიენი-ლე მანი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 086 | ნიცა-ნიმი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 087 | ლავალი-ნიორი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 088 | ისტრი-სტრასბური | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 23.00 | 089 | გენიონი-შატორუ | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 090 | ამიენი-გრენობლი | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 091 | აიაჩო-კაენი | 1,75 | 2,9 | 4,7 |

**პორტუგალია. I ლიგა. 1-ლი ტური**

10 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 092 | ბოავიშტა-ბეირა მარი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 093 | ბოავიშტა-ბეირა მარი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 094 | ბრაგა-ლეირია | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 01.00 | 095 | ვარზიმი-ბენფიკა | 3,8 | 3,2 | 1,8 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 096 | სალგეირუში-ფარენსე | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 21.00 | 097 | ფერეირა-ბელენენსეში | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 098 | სპორტინგი-პორტუ | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 01.00 | 099 | გიმარაეში-ჟილ ვისენტე | 1,7 | 3,1 | 4,7 |

13 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 100 | მარიტიმუ-სეტუბალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**პორტუგალია. II ლიგა. 1-ლი ტური**

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 101 | შავეში-ოლივეირენსე | 1,65 | 3,2 | 5,0 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 102 | რიუ ავე-მაია | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 103 | ამადორა ლეცა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 104 | ნასიონალი-ნავალი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 105 | ავეში-ოვარენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 106 | ესპინიუ-მარტიმონენსე | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 107 | ლამაში-კამპომაიორენსე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 01.00 | 108 | აკადემიკა-პენაფიელი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები**

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 109 | ჰერენვენი-აიაქსი | 3,8 | 3,2 | 1,8 |

**ბელგია. I დივიზიონი. 1-ლი ტური**

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 110 | ანდერლეხტი-ანტვერპენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 111 | ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 112 | გენკი-ბევერენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 113 | ლიერსი-ლოკერენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.00 | 114 | გენტი-სენტ ტრუიდენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 115 | ლომელი-მოლენბეკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 118 | ბრიუგე-ვესტერლო | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 119 | ბრიუგე-ვესტერლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 120 | აალსტი-მუსკრონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 116 | ბეერსხოტი-ლუვიე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 117 | შარლერუა-სტანდარდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**ჩეხეთი. მე-3 ტური**

10 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 121 | სპარტა-ლიბერეცი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 122 | სპარტა-ლიბერეცი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 123 | სლავია-ჰრადეც კრალოვე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 124 | სლავია-ჰრადეც კრალოვე 0:1 | 1,35 | 3,8 | 4,0 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 125 | ბანიკი-იაბლონეცი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 126 | ტეპლიცე-დრნოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 127 | ბრნო-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 128 | ბოჰემიანსი-სიგმა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 129 | სინოტი-პრჟიბრამი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 130 | ბლშანი-ოპავა | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**პოლონეთი. მე-4 ტური. A ჯგუფი**

10 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 131 | კატოვიცე-ზაგლებე | 2,4 | 2,9 | 2,8 |

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 132 | ოდრა-ვიძევი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.15 | 133 | გურნიკი-ვისლა | 3,5 | 3,1 | 1,95 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 134 | ოსტროვეცი-პოლონია | 3,1 | 3,0 | 2,2 |

**პოლონეთი. მე-4 ტური. B ჯგუფი**

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 135 | რადომსკო-რუხი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 136 | სტომილი-პ. გონს | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 137 | ლეგია-გროცლინი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 138 | ლეგია-გროცლინი 0:1 | 1,9. | 3,3 | 2,4 |
| 20.00 | 139 | შლიონსკი-ამიცა | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**თურქეთი. 1-ლი ტური**

10 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 140 | ბეშიქთაში-ტრაბზონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 141 | გიოზთეფე-ბურსა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 142 | გენჩლერბირლიგი-დიარბაქი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 143 | ფენერბაჩე-სამსუნი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 144 | ფენერბაჩე-სამსუნი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 145 | რიზე-ქოჯაელი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 146 | ისთანბული-მალათია | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 147 | ანთალია-ანკარაგიუჯიუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 148 | დენიზლი-იოზგათი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 149 | გაზიანთეფი-გალათასარაი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **ავსტრია. მე-7 ტური** | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 172 | ტიროლი-რიდი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 173 | ზალცბურგი-კერნტენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.30 | 174 | ადმირა-შტურმი | 4,7 | 3,5 | 1,6 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 175 | აუსტრია-რაპიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 13.30 | 176 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 177 | გრაცერი-ბრეგენცი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-7 ტური** | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 178 | ბაზელი-იანგ ბოისი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 179 | სერვეტი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 180 | ლოზანა-აარაუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 181 | სიონი-ლუცერნი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.30 | 182 | ციურიხი-ქსამაქსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 183 | სენტ გალენი-ლუგანო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-7 ტური** | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 184 | ბელინცონა-თუნი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **11 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 185 | ბადენი-კარუჟი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 20.30 | 186 | ვინტერთური-ვილი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 187 | კრინსი-დელემონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 188 | ივერდონი-კონკორდია | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 189 | ვადუცი-ლოკარნო | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| | | **დანია. მე-4 ტური** | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 190 | აკადემისკი-ვიბორგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 191 | ლიუნგბიუ-ბრიონდბიუ | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.00 | 192 | ვაილე-სილკებორგი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 193 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 2,3 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 194 | ოდენსე-ოლბორგი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 20.05 | 195 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| | | **შვედეთი. მე-17 ტური** | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 204 | ჰეკენი-გიოტებორგი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 22.00 | 205 | ჰამარბი-იურგორდენი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 206 | მალმიო-ტრელებორგი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 207 | მალმიო-ტრელებორგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,2 |
| 20.00 | 208 | იორებრო-ნორჩიოპინგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 209 | იორგრიტე-ჰალმსტადი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 210 | აიკ-ჰელსინგბორგი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 23.15 | 211 | ელფსბორგი-სუნდსვალი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **ნორვეგია. მე-18 ტური** | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 212 | ბრინი-მოლდე | 3,3 | 3,3 | 1,95 |
| 21.00 | 213 | ლინი-ლილესტრიომი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 21.00 | 214 | მოსი-ბოდიო გლიმტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 21.00 | 215 | ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 21.00 | 216 | სოგნდალი-ბრანი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 21.00 | 217 | სტრიომგოდსეტი-ვიკინგი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.05 | 218 | ტრომსიო-რუსენბორგი | 5,3 | 3,3 | 1,55 |
| | | **ფინეთი** | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 219 | როვანიემი-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 2,9 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 220 | ჰაკა-ტამპერე | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 20.30 | 221 | ჰიკ-მიუპა | 2,0 | 3,0 | 2,2 |
| 20.30 | 222 | ჯაზი-ლაჰტი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 20.30 | 223 | კუოპიო-იოკერიტი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 224 | ვაასა-ინტერი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| | | **ინგლისი. სუპერთასი (კარდიფში)** | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 225 | მანჩესტერი-ლივერპული | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **იტალია. თასის I ეტაპი** | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 226 | ასკოლი-კომო | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 227 | კოზენცა-ვენეცია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.30 | 228 | პალერმო-ლივორნო | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 229 | ნაპოლი-სიენა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.30 | 230 | მოდენა-ლუმეცანე | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 23.30 | 231 | სამპდორია-ჩიტადელა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.30 | 232 | კროტონე-ვიჩენცა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 233 | ემპოლი-ანკონა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.45 | 234 | ტრევიზო-ბარი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 23.45 | 235 | არეცო-ჯენოა | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 23.45 | 236 | რეჯინა-კალიარი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.45 | 237 | მონცა-აველინო | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 238 | პესკარა-მესინა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.45 | 239 | პრატო-ტერნანა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 23.45 | 240 | სალერნიტანა-კატანია | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 24.00 | 241 | პისტოიეზე-კიევო | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| | | **ჰოლანდია. სუპერთასი** | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 242 | პსვ-ტვენტე | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| | | **უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები** | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 517 | ნეფტჩი-გორიცა | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.30 | 518 | პუხოვი-სლიმა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 19.30 | 519 | რუზომბეროკი-ბელშინა | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 520 | პოლონია-ტნს | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 20.00 | 521 | დინამო (თბ)-ბატე | ანგარიში - 5,0 | | |
| 20.00 | 522 | დინამო (ბუქ)-დინამო (ტირ) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 523 | ცსკა (კიევი)-იოკერიტი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 524 | ბრაშოვი-აშტარაკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 20.00 | 525 | არარატი-ჰაპოელი (თ-ა) | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 20.30 | 526 | ობილიჩი-გოტუ | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| 20.30 | 527 | პელისტერი-სენტ გალენი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 528 | დინაბურგი-ოსიეკი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 529 | ტრანს ნარვა-ელფსბორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 21.00 | 530 | შახტიორი(ბელარ)-ცსკა(სოფ) | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 531 | ტირანა-აპოლონი (კვიპ) | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 532 | ჰიკ-ვენტსპილსი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 533 | ატლანტასი-რაპიდი (ბუქ) | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 21.30 | 534 | მიდტიულანდი-გლენტორანი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 22.00 | 535 | ვიკინგი-ბრატნიო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 536 | ოლიმპიაკოსი(კვიპ)-დუნაფერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 537 | მიუპა-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 538 | მაკაბი(თ-ა)-ჟალგირისი | 1,4 | | 6,5 |
| 22.00 | 539 | ეტელბრიუკი-ლეგია | 8,0 | | 1,25 |
| 22.30 | 540 | ბირკირკარა-ლოკომოტივი(თბ) | ანგარიში - 5,0 | | |
| 22.30 | 541 | ვადუცი-ვარტექსი | 5,0 | 3,8 | 1,4 |
| 22.30 | 542 | ტორსჰაგენი-გრაცერი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 22.30 | 543 | ზიმბრუ-გაზიანთეფი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 23.15 | 544 | ბრიუგე-აკრანესი | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| 23.15 | 545 | ვარდარი-სტანდარდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.15 | 546 | ოლიმპია-შაფა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.15 | 547 | დინამო (ზაგ)-ფლორა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.15 | 548 | დებრეცენი-ნისტრუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 23.30 | 549 | აეკ-გრევენმახერი | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 23.30 | 550 | ბრიონდბიუ-შელბურნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.30 | 551 | კოსმოსი-რაპიდი (ვენა) | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 23.30 | 552 | ლონგფორდი-ლიტექსი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 23.30 | 553 | სტ.კოლომა-პარტიზანი (იუგ) | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 23.45 | 554 | გლენავონი-კილმარნოკი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 24.00 | 555 | ფილკირი-პოგონი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 24.00 | 556 | ქუიმბრანი-სლოვანი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 01.00 | 557 | მარიტიმუ-სარაევო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | **კოპა მერკონორტე** | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | |
| 05.00 | 565 | ატ.ნასიონალი-უნივერსიტარიო | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 07.10 | 566 | გვადალახარა-მილიონარიოსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**

**9 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.00 | 617 | ნეფტჩი-გორიცა | 6,0-1,07 |
| 19.30 | 618 | პუხოვი-სლიმა | 1,05-7,5 |
| 19.30 | 619 | რუზომბეროკი-ბელშინა | 1,45-2,1 |
| 20.00 | 622 | დინამო (ბუქ)-დინამო (ტირ) | 1,05-7,5 |
| 20.00 | 623 | ცსკა (კიევი)-იოკერიტი | 1,3-2,8 |
| 20.00 | 624 | ბრაშოვი-აშტარაკი | 1,05-7,5 |
| 20.00 | 625 | არარატი-ჰაპოელი (თ-ა) | 6,0-1,07 |
| 20.30 | 627 | პელისტერი-სენტ გალენი | 5,0-1,1 |
| 21.00 | 628 | დინაბურგი-ოსიეკი | 6,0-1,07 |
| 21.00 | 629 | ტრანს ნარვა-ელფსბორგი | 6,0-1,07 |
| 21.00 | 630 | შახტიორი(ბელარ)-ცსკა(სოფ) | 5,0-1,1 |
| 21.00 | 631 | ტირანა-აპოლონი (კვიპ) | 2,0-1,5 |
| 21.00 | 632 | ჰიკ-ვენტსპილსი | 1,2-3,5 |
| 21.00 | 633 | ატლანტასი-რაპიდი (ბუქ) | 7,5-1,05 |
| 21.30 | 634 | მიდტიულანდი-გლენტორანი | 1,07-5,0 |
| 22.00 | 635 | ვიკინგი-ბროტნიო | 1,1-4,0 |
| 22.00 | 636 | ოლიმპიაკოსი(კვიპ)-დუნაფერი | 3,5-1,15 |
| 22.00 | 637 | მიუპა-ჰელსინგბორგი | 4,0-1,1 |
| 22.00 | 638 | მაკაბი(თ-ა)-ჟალგირისი | 1,2-3,5 |
| 22.30 | 643 | ზიმბრუ-გაზიანთეფი | 5,0-1,1 |
| 23.15 | 645 | ვარდარი-სტანდარდი | 7,5-1,05 |
| 23.15 | 648 | დებრეცენი-ნისტრუ | 1,25-3,1 |
| 23.30 | 650 | ბრიონდბიუ-შელბურნი | 1,05-7,5 |
| 23.30 | 652 | ლონგფორდი-ლიტექსი | 6,0-1,05 |
| 23.45 | 654 | გლენავონი-კილმარნოკი | 6,0-1,05 |
| 24.00 | 655 | ფილკირი-პოგონი | 5,0-1,1 |
| 01.00 | 657 | მარიტიმუ-სარაევო | 1,05-5,0 |

**ტურში გატანილი გოლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | **11 აგვისტო** | |
| 18.30 | 701 | გერმანია (მე-3) | 24 და ნაკლები - 1,9; | 26 და მეტი - 1,9 |
| | | | **11 აგვისტო** | |
| 20.15 | 702 | საფრანგეთი (მე-3) | 22 და ნაკლები - 1,9; | 24 და მეტი - 1,9 |
| | | | **11 აგვისტო** | |
| 23.00 | 704 | ბელგია (1-ლი) | 26 და ნაკლები - 1,9; | 28 და მეტი - 1,9 |
| | | | **10 აგვისტო** | |
| 19.30 | 705 | ჩეხეთი (მე-3) | 19 და ნაკლები - 1,9; | 21 და მეტი - 1,9 |
| | | | **10 აგვისტო** | |
| 20.00 | 706 | პოლონეთი (მე-4) | 19 და ნაკლები - 1,9; | 21 და მეტი - 1,9 |
| | | | **10 აგვისტო** | |
| 22.00 | 707 | თურქეთი (1-ლი) | 23 და ნაკლები - 1,9; | 25 და მეტი - 1,9 |
| | | | **11 აგვისტო** | |
| 16.00 | 708 | რუსეთი (21-ე) | 18 და ნაკლები - 1,9; | 20 და მეტი - 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# გურჯაანში

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო. მისამართი:
დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 აგვისტოდან კროკო
ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე
მხოლოდ ორშაბათი იქნება.
სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა



AP ცინცინატიდან

ბორის ბეკერი (წინ) და გორან ივანიშევიჩი ჯერჯერობით კარგად ამხანაგობენ

# შენ აქ საიდან, ბორის?!

**ცინცინატი. „მასტერსი“ ჰარდი. საპრიზო 2,95 მილიონი $**

აბა, გამოიცანით, ვისი ხილვით გაიხარეს ცინცინატის მასტერსის სერიის ტურნირზე მისულმა გულშემატკივრებმა? თავად ბორის ბეკერის. ამ ბოლო ხანებში ათასგვარ შარში და სკანდალში გახვეულმა და ცოლის და ყოფილი საყვარლის გამოისობით გვარიანად ჯიბეშეთხელებულმა „ბუმ ბუმ ბორისმა“ გულის გადაყოლება ჩოგნის ქნევით სცადა და იმ საქმეს დაუბრუნდა, რაც ყველაზე უკეთ ეხერხება. მართალია, ორი წელია, პენსიაზეა და ამდენად, მსოფლიო კლასიფიკაციაშიც არ შედის, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებს მისთვის უთქვამთ, თუ „თქვენი აღმატებულება“ ისურვებს, მთავარ ბადეში ჩაგსვამთო. თუმცა ბეკერს ეს წინადადება შორს დაუჭერია, ჩოგბურთს ორიოდ დღით მოვუბრუნდი და წყვილებში თამაში მირჩევნიაო.

ჰოდა, ბეკერი წლევანდელი უიმბლდონის მომგებ ხორვატს, გორან ივანიშევიჩს შეუწყვილდა და მასთან ერთად შვედ იონას ბიორკმანს და ავსტრალიელ ტოდ ვუდბრიჯს შეერკინა. აქ სიტყვა „შეერკინა“ პირობითად ვიხმარეთ, რადგან მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის, უიმბლდონის ყოფილმა და მოქმედმა ჩემპიონებმა სულ იოლად გადაყლაპეს შვედურ-ავსტრალიური ტანდემი, რომელსაც, ნუ დავუკარგავთ და, მსოფლიოში ყველა უფრთხის. დამაჯერებელი გამარჯვების მიუხედავად, ნამატჩევს ბეკერი ერთობ მოკრძალებულად მსჯელობდა: „სამწუხაროდ, ჩვენ მსოფლიოს უძლიერეს წყვილს შევხვდით და შეგვეძლო, წაგვეგო. სასიამოვნოა, რომ პირიქით მოხდა.“ ისე, ამ გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ 33 წლის გერმანელისაა და ამის აღიარება არც ივანიშევიჩს დავიწყებია. „ცუდად ვითამაშე. საბედნიეროდ, ჩემთან ერთად იყო ბორისი, რომელიც კვლავ დიდი მოთამაშეა“ — თქვა ხორვატმა და იქვე მოიბოდიშა, ხვალ ნიკოლას ესკუდესთან მაქვს მატჩი, მხრის ტრავმის გართულებას მოვერიდე და ბოლომდე არ დავიხარჯეო.

ივანიშევიჩმა გაფანტა ჭორები ამ სეზონის შემდეგ აქტიური სპორტიდან წასვლის თაობაზე. ეგ კი მართალია, რომ წლეულს მხრის ოპერაციას ვიკეთებ, მაგრამ ჯერ არსად წასვლას არ ვაპირებ, რადგან თავს, როგორც არასდროს, ისე კარგად ვგრძნობო.

როგორც ყოველთვის, ამ ტურნირის დებიუტმაც არ ჩაიარა სენსაციების გარეშე, თუმც მანამდე მსოფლიოს პირველი ჩოგნის გუსტავო კუერტენის გამარჯვებისა ვთქვათ. ის, ვისაც გუგამ პირველ წრეში მოუგო, მიმდინარე კლასიფიკაციით საუკეთესო ოცეულშიც არ შედის, მაგრამ ამან ბრაზილიელს ხელი ვერ შეუშალა, გამარჯვებით გაეხარა. კუერტენის ძლეული კი 18 წლის ამერიკელი ენდი როდიკი გახლავთ, რომლის მზეც ახლა ამოდის და რომელმაც გუგა ერთი კვირის წინ მონრეალის მასტერსის ტურნირში გაამწარა.

პირველმა წრემ ბევრი ბობოლა შეიწირა. ტურნირს სამარცხვინოდ ადრე დაემშვიდობნენ თვით მეორე ნომრად განთესილი ხოტორა ამერიკელი ანდრე აგასი და მესამე ნომერი, ახმახი რუსი მარატ საფინი. არადა, არც ერთის მძლეველი არ წყვეტს ციდან ვარსკვლავებს. აგასის და საფინის ბედი კიდევ ოთხმა ბობოლამ გაიზიარა.

**პირველი წრე:** **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — ენდი როდიკი (აშშ) 7:6 (7:3), 6:1; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — ანდრე აგასი (2, აშშ) 6:4, 7:6 (7:3); **ხუან კარლოს ფერერო** (4, ესპანეთი) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:4, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (7, ბრიტანეთი) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:4, 6:2; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 4:6, 6:4, 7:6 (7:4); **გორან ივანიშევიჩი** (14, ხორვატია) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 3:6, 7:6(7:5); **ტოდ მარტინი** (აშშ) — სესილ მამიტი (აშშ) 2:6, 6:3, 6:3; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 3:6, 7:6 (8:6), 6:1; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:1, 6:3; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — მაიკლ რასელი (აშშ) 4:6, 6:3, 6:2; **ქსავიე მალისი** (ბელგია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:3; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — გილერმო კორია (არგენტინა) 7:5, 6:2; **ნიკოლას ესკუდე** (საფრანგეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:2; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:3, 6:2; **სტეფან კუბეკი** (ავსტრია) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:4, 6:1; **გილერმო კანასი** (არგენტინა) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 6:3, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (5, ავსტრალია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 6:1; **ევგენი კაფელნიკოვი** (6, რუსეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 7:6 (7:4), 6:1; **პატრიკ რაფტერი** (8, ავსტრალია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 7:5, 6:3; **პიტ სამპრასი** (9, აშშ) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 6:2; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — ტომას ენქვისტი (11, შვედეთი) 6:4, 6:0; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — ტომას იოჰანსონი (12, შვედეთი) 6:3, 6:2; **კარლოს მოია** (13, ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 6:3; **სიენგ შალკენი** (ჰოლანდია) — უეინ ფერეირა (5, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:4; **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — დომინიკ ჰრბატი (16, სლოვაკეთი) 6:3, 6:1; **ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია) — ფრანკო სკუოდრანრი (არგენტინა) 6:2, 6:0; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — კრის ვუდრაფი (ავსტრალია) 6:4, 6:2; **ჰუნგ-ტაიკ ლი** (სამხრეთ კორეა) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:4, 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ჟერომ გოლმარო (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:5)

**ლოს ანჯელესი „ესტილ კომ კლასიკი“ ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

**პირველი წრე:** **ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 4:1 (ტრავმა); **ჯენიფერ ჰოპკინსი** (აშშ) — სელიმა სფარი (ტუნისი) 7:5, 6:1; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — მარიანა დიას ოლივა (არგენტინა) 6:1, 6:4; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — შინობუ არაგოე (იაპონია) 6:3, 6:3; **ევი დომინიკოვიჩი** (ავსტრალია) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:0, 6:1; **კარა ბლეკი** (ზიმბაბვე) — აი სუგიამა (იაპონია) 5:7, 6:1, 6:2.

**მეორე წრე:** **ვირჯინი რაზანო** (საფრანგეთი) — არანტა სანჩეს-ვიკარიო (9, ესპანეთი); **ელენა დოკიჩი** (11, იუგოსლავია) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:2, 6:1; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — ჩანდა რუბინი (16, აშშ) 6:1, 7:6 (7:4); **დაჯა ბედანოვა** (ჩეხეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:4, 6:2; **მონიკა სელეში** (6, აშშ) — მერისა ირვინი (აშშ) 6:3, 6:2; **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:2, 7:5; **სერენა უილიამსი** (4, აშშ) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 7:5, 6:3; **ნატალი ტოზია** (5, საფრანგეთი) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 7:6 (7:1); **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:4, 6:4; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:1, 6:3; **ვინე პრაკუსია** (ინდონეზია) — რიტა გრანდე (იტალია) 7:6 (7:4), 6:2

**ივანე ძობიაშვილი**



AP ცინცინატიდან

მარატ საფინმა „ვიღაცასთან“ წააგო



# კრივალოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენოქს ლუისს (მარჯვნივ) ჰასიმ რაჰმანისთვის ხურდის დაბრუნების შანსი მიეცა

**მძიმე** წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ჰასიმ რაჰმანი თავის ტიტულს 10 ან 17 ნოემბერს დაიცავს. შეგახსენებთ, რომ აპრილში საშუალო დონის მოკრივედ შერაცხულმა ბალტიმორელმა სამხრეთ აფრიკაში სენსაციურად, ნოკაუტით სძლია თვით ლენოქს ლუისს.

რემატჩს, სავარაუდოდ, კაზინოების ქალაქი ლას ვეგასი უმასპინძლებს. თავიდან კი რაჰმანის გაქნილი პრომოუტერი დონ კინგი რაჰმანი — ლუისის საარაკო ბრძოლის მოწყობას ჰონკონგში ცდილობდა. ჰონკონგში მოსაქმე ცნობილ ინვესტორთა ჯგუფი მზად იყო, უამრავი მილიონი დოლარი გაეღო რემატჩის გასამართავად, რაც გვარიანად დაამძიმებდა დონ კინგის ისედაც სქელ ჯიბეს, მაგრამ, როგორც ჩანს, გარიგება ჩაიშალა. აგერ უკვე 20 წელიწადია, ლას ვეგასს კრივის სამყაროს ცენტრად მოიხსენიებენ და რაღა ახლა ვერ უნდა ეხეირა უმთავრესი ბრძოლით.

თუმცა რემატჩის თარიღი და ადგილი რომ მართლაც მხოლოდ სავარაუდოა, იქიდანაც ჩანს, რომ ბრძოლის ტელეტრანსლაციის შესახებ ოფიციალურად არაფერია ცნობილი. დონ კინგს სურს, რომ ბრძოლა სატელევიზიო ქსელმა HBO-მ გააშუქოს. თუმც ლენოქს ლუისის ბანაკი ამ მხრივ არასაკმარისად იყო ინფორმირებული და თავისი თანხმობა ჯერ არ განუცხადებია. მიუხედავად ამისა, ვარაუდობენ, რომ ტელეტრანსლაციის უფლებას სწორედ HBO მოიპოვებს.

რაჰმანი ამ ბრძოლის შემდეგ 10 მილიონ დოლარზე მეტს მიიღებს, ხოლო რამდენს დასჯერდება ლუისი, ჯერ არ არის ცნობილი. კონტრაქტის დეტალებს ორივე მხარის ვექილები შეათანხმებენ და საბოლოოდ ხელმოწერებითაც დაამშვენებენ.



ანჯეი გოლოტა და მაიკ ტაისონი

**ყურიჭამია** მოკრივე მაიკ ტაისონი რინგს უბრუნდება. ნიუიორკელი მოკრივე ევროპას, კერძოდ კი, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენს ეწვევა. 8 სექტემბერს დანიის ეროვნულ სტადიონ „პარკენზე“ მაიკ ტაისონი დანიელ ბრაიან ნილსენთან გამართავს ბრძოლას, რომელსაც პროფესიულ რინგზე 63-ჯერ უჩხუბია და აქედან მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა. თავის მხრივ, ნილსენს, რომელსაც დანიური პრესა „დანიურ ცომად“ მოიხსენიებს, რაჰმანთან ბრძოლა სწყუროდა, მაგრამ რაჰმანს უფრო ნიგერიელ დავიდ აიზონთან ჩხუბის პერსპექტივა ხიბლავდა, საბოლოოდ კი სკანდინაველს რკინის მაიკი შერჩა ხელში. დანიურმა ტაბლოიდებმა ტაისონის ჰონორარი დაიანგარიშეს და 5 მილიონ 900 ათასი მწვანე დათვალეს.

სანამ ტაისონი ნილსენთან საბრძოლველად ემზადება, მისი ვექილი დეროუ სოლი კალიფორნიის შტატის ქალაქ ბიგ ბეარ სიტიში დაიარება სასამართლო გარჩევებზე.

მავანმა 50 წლის ქალბატონმა ყოფილ მძიმეწონოსან ჩემპიონს სექსუალური აგრესიის გამო უჩივლა. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი ქალბატონის საჩივარი პოლიციაში 17 ივლისსაა შეტანილი. ამ დროისთვის ტაისონის სამწვრთნელო ბანაკი ბიგ ბეარ სიტიში იყო გაშლილი, მომხდარის შემდეგ კი ფენიქსის „მედისონის“ დარბაზში გადაიტანეს.

WBO-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა მძიმე წონაში, უკრაინელმა ვლადიმირ კლიჩკომ ტიტული ამერიკელი ჩარლზ შაფორდის ხელყოფისაგან დაიცვა. ლას ვეგასში, კაზინო „MANDALAY BAY RESORT“-ში გამართულ ბრძოლაში უკრაინელმა ექვსი რაუნდი მოანდომა ამერიკელის გალახვას და ნოკაუტით დასცა რინგზე. ეს 26 წლის კლიჩკოს 37-ე გამარჯვებაა 38 ბრძოლაში, რომლებიც მან პროფესიონალურ რინგზე გამართა.

**ბაჩო სვანიძე**

# ქართველები პირველ გრან პრიზე

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან გვაცნობეს, რომ 13 ოქტომბრიდან ძიუდოში „გრან პრის“ გათამაშებებს ჩაეყრება საფუძველი. პირველი ამგვარი შეჯიბრი შედგება მოსკოვში, სადაც ვაჟები 7 წონით კატეგორიაში გამოვლენ (აბსოლუტურის გარდა), ხოლო ქალთა ანალოგიური შეჯიბრის გამართვა ნოემბერში სევილიაშია დაგეგმილი.

მონაწილენი შემდეგნაირად შეირჩევიან: მიიწვევენ უკანასკნელი ოლიმპიადის ყველა პრიზიორს, მსოფლიოს ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონს. ერთ ადგილს მასპინძელი ქვეყანა მიიღებს, თუ მისი ძიუდოისტი ჩამოთვლილებში ვერსად მოხვდება.

100 ათასი დოლარი სოლიდური საპრიზო ფონდია. პრიზიორებს გადაეცემათ 6, 4 და 2 ათასი დოლარი, ხოლო გამარჯვებული 2-ათასიანი პრემიითაც დაჯილდოვდება, თუ მოახერხა და ფინალი „იპონით“ (წმინდად) მოიგო.

პირველსავე „გრანპრიზე“ ქართველებს ვიხილავთ. გიორგი ვაზაგაშვილი- სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორია და 66 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იბრძოლებს, ხოლო ზურაბ ზვიადაური მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის სტატუსით 90 კილოგრამში გამოვა. რეზერვში გახლავთ ივერი ჯიქურაულიც (100 კგ), რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-5 იყო.

4 კონტინენტის 56 სპორტსმენისთვის საჭირო ყველა ხარჯს „გრან პრის“ ორგანიზატორები გაიღებენ.

რაგბი

# ქურციკები ემიგრაციაში

**ორშაბათს** „ქურციკებმა“ სამხრეთ აფრიკა დატოვეს და სამკვირიან ემიგრციას მისცეს თავი. ისინი ავსტრალიაში გადაიხვეწნენ, სადაც 18 აგვისტოს პერტში მასპინძლებს შეერკინებიან, ერთი კვირის თავზე კი ახალ ზელანდიას ეთამაშებიან იქაურ ოკლენდში. ამ მატჩებით სამი ერის წლევანდელი ჩემპიონატი აფრიკელთათვის დამთავრდება და ისინიც სამშობლოში დაბრუნდებიან.

„ქურციკების“ მთავარმა მწვრთნელმა ჰარი ფილიოენმა გამგზავრებამდე აღნიშნა, გადადგომას არაფერი მაკლდა, იმდენი მაკრიტიკესო. ახლა კი კვლავ იღიმებოდა და საკმაოდ იმედიანად გამოიყურებოდა. „ღმერთმა იცის, თუ როგორი ძნელი პერიოდი მქონდა. როცა ნაკრების თავკაცობას დავთანხმდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე გამიჭირდებოდა კრიტიკის ატანა. ეს რაღაც მომენტამდე შეიძლება, მერე კი, უბრალოდ, ლანძღვად იქცევა. ჩემს თავს ვეკითხებოდი, ღირდა კი ჩემი დარჩენა ამხელა მსხვერპლად?! თუმცა ჩემმა მოთამაშეებმა, იდეებმა და საქმემ ამ მდგომარეობიდან გამომიყვანეს“ — განუცხადა ფილიოენმა „სანდი თაიმსს“.

აფრიკელთა დამრიგებელმა სამი ერის ჩემპიონატის მეორე ტურში შინ ავსტრალიის დამარცხება იგულისხმა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „ქურციკთა“ თამაში ჯერჯერობით მაინც შორსაა, მეტი რომ არ ვთქვათ, იდეალურისგან და ფილიოენს საქმე ჯერაც ძალიან ბევრი აქვს, თუ არ უნდა, კვლავ კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდეს თავს.

ეს თავადაც კარგად იცის: „მიზნისგან ჯერ ძალიან შორს ვართ. ავსტრალიის დამარცხება უმნიშვნელოვანესი საქმე იყო, მაგრამ ძველებური რაგბი ვითამაშეთ. ჩვენი შერკინება და სამმეოთხედელები შეთანხმებულად ვერ მოქმედებდნენ. მართალია, წინახაზელები საკმაოდ კარგად ირჯებოდნენ, მაგრამ შუამარბებს კომბინაციების დროს ვერ ეხმარებოდნენ და მათაც ბევრი არაფერი გამოსდიოდათ“.

ამ ხარვეზის გამოსასწორებლად ფილიოენმა ავსტრალიაში იხმო 27 წლის ანდრე სნაიმანი, რომელსაც 33 კეპი მოუხვეჭია. სანამ 1999 წელს ზედიზედ რამდენიმე ტრავმას მიიღებდა, შუამარბი სნაიმანი „ქურციკების“ ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა იყო. ფილიოენს პრობლემა აქვს ნახევარდაცვაშიც. ბაჩ ჯეიმსი შეტევებს უმაღლეს დონეზე ვერ უძღვება, შერკინების ნახევარმცველი იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენი კი უწინდებურად ველარ ყოჩაღობს. „მათი შეცვლა არ შემიძლია. მართალია, ბევრი ახალგაზრდა მორაგბე შევნიშნეთ, მაგრამ მათი ნაკრებში თამაში ჯერ ნაადრევია“ — თქვა ფილიოენმა.

ამის მიუხედავად, სამხრეთ აფრიკას ავსტრალია-ახალ ზელანდიაში წარმატების მცირე შანსი მაინც აქვს, რადგან პირველ ორ ტურში „ქურციკთა“ შერკინება მეტოქეებისაზე ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა და აფრიკელები დაცვაშიც მეტად ძლიერები არიან (ორ მატჩში არც ერთი ლელო არ გაუშვიათ). თანაც შარშან, ოქტომბერში მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ჰარი ფილიოენს პირველად ექნება საშუალება, აფრიკული პრესის ზეწოლის გარეშე იმუშაოს. საინტერესოა, რას მიაღწევს ის კრიტიკის გარეშე.

**ბაგი ბურული**

# ილზი წავა და... ვინ მოვა?

**სამი ერის** ჩემპიონატი, სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი სანაკრებო ტურნირი, ახალი გახურებულია და ორიოდ დღეში მთავარი მატჩიც გაიმართება ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის. თუმცა მწვანე კონტინენტზე ამ შეხვედრაზე არანაკლებ ინტერესს იწვევს ჯონ ილზის სავარაუდო შემცვლელის გარკვევა.

შეგახსენებთ, რომ ილზი ამ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „ვოლაბიზას“ თავს ანებებს და ოზებს ახალი კაპიტნის შერჩევა მართებთ. თავიდან ასეთად შერკინების შავკანიან ნახევარმცველ ჯორჯ გრეგანს ასახელებდნენ, მაგრამ მას ავსტრალიური პრესა დიდად არ სწყალობს. ამის გამო პოლემიკა ახალი ძალით გაჩაღდა.

„სან ჰერალდი“ გრეგანს ახასიათებს „ურთიერთობის ნიჭის უქონელკაცად“, რომელსაც ილზის დიპლომატობისა არაფერი სცხია. „იგი ემოციურად ფეთქებადი, უაღრესად ეგოისტი და ამიტომაც, კაპიტნობისთვის სრულიად შეუფერებელია“ — წერს „სან ჰერალდი“.

და ვინ უნდათ გრეგანის დამწუნებელთ ილზის მემკვიდრედ?

გაზეთებში რამდენიმე სახელი ტრიალებს: გამოცდილი სამმეოთხედელი დენიელ ჰერბერტი, უნიჭიერესი მცველი მეტიუ ბერკი და თვით დევიდ გიფინიც კი. პირველ ორს კაპიტნის სამკლავურის მორგების შანსი ნამდვილად აქვს, მაგრამ გიფინის არჩევა, მით უმეტეს, ახლა, წარმოუდგენელია. საქმე ისაა, რომ ეს ვაჟბატონი სამხრეთ აფრიკაში წაგებული მატჩის დროს, შერკინებისას იდაყვის ჩარტყმით გაუმასპინძლდა „ქურციკ“ რობი ფლეკს, რაც მსაჯს შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ გიფინს შემდეგ სამკვირიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა სადისციპლინო კომისიამ. აქ მთავარი დაბრკოლება დისკვალიფიკაცია კი არა, არამედ „ვოლაბთა“ შერკინების მესამეხაზელის არაჯენტლმენური საქციელია.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ გრეგანს არჩევნებში მომხრეც ძალიან ბევრი ჰყავს და თანაც საკმაოდ გავლენიანებიც. დავიწყოთ თავად ჯონ ილზით, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი გრეგანის კანდიდატურას. ავსტრალიელთა ახალი მთავარი მწვრთნელი ედი ჯონსი, რომელიც გრეგანს კანბერაშიც მოძღვრავდა, ამბობს, რომ მას კაპიტნობისთვის აუცილებელი ყველა თვისება აქვს. დაბოლოს, ოზთა ლიდერმა და შერკინების ნახევარმცველმა ნიკ ფარ-ჯონსმა, 1991 წელს მსოფლიოს თასის მოგებისას რომ კაპიტნობდა „ვოლაბებს“, განაცხადა: „ჯორჯი მაყურებლებში უდიდესი სიყვარულით სარგებლობს. ის ახალგაზრდებისთვის მისაბაძი მაგალითია. ილზის უკეთესი მემკვიდრე ძნელი საპოვნელია“.

იპოვიან თუ არა ავსტრალიის რაგბის კავშირის თავკაცები უკეთესს, 1 სექტემბერს გამოჩნდება, როცა ოზთა მითიური შერკინების მეორეხაზელი ახალ ზელანდიასთან სამი ერის ჩემპიონატის ბოლო ტურში თავის სანაკრებო კარიერას დაასრულებს.



ჯორჯ გრეგანი კაპიტნობასაც პასივით ელის

დოპინგი




ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგდე ეშმა და ანტიდოპინგი არ შეგაშინებს!

# მქიმმბის ახალი რასა
## პელოტონი ჰაერის კედელს ასკდება

*სანდრო დონატი დიდხანს წვრთნიდა იტალიელ ათლეტებს. 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანების დასაწყისში ეს პროფესორი რომის სპორტის უნივერსიტეტში მუშაობდა. სწორედ იქ დაიწყო მან დოპინგის გამოაშკარავების მეთოდების შექმნა და შესწავლა, რაშიც იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთი ნაწილი ხელსაც უშლიდა. 1994 წელს პროფესორმა დონატიმ დიდი ხნის ანალიზის შემდეგ გამოაქვეყნა შრომა, რომელშიც ფრანჩესკო კონკონის მიერ იტალიაში დანერგილ დოპინგ-სისტემას ამხელდა. ვინაიდან კონკონი იეოკ-ის ზოგიერთ მაღალჩინოსანთან შეთანხმებით მოქმედებდა, რაც დონატიმ აღნიშნა კიდეც, მისი ნაშრომის აკრძალვა მოინდომეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. მას შემდეგ სანდრო დონატი იტალიაში დოპინგის წინააღმდეგ მებრძოლთაგან უპირველესად ითვლება, რაც სპორტის ბევრ ჩინოსანს ნერვებს უშლიდა და დონატიც 2000 წელს იეოკ-ის სამეცნიერო კომისიიდან გააძევეს. ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს*

**მცოდნე და პატიოსანი კაცის წერილი დოპინგზე**

**ბოლო** წლებია, ძალიან ხშირად მიწევს კონსულტაციები იმ სამართალდამცველებისთვის, რომლებიც დოპინგთან დაკავშირებულ საქმეებს იძიებენ. ისინი ძირითადად ძიებისას ამოღებული დოკუმენტების გაანალიზებას მთხოვდნენ.

ახლახან საშუალება მქონდა, მენახა იურიდიული საბუთები, რომლებიც იმ ექიმებს ეხებოდა, ვინც სპორტსმენებს აკრძალული ნივთიერებებით ჭყიპავს და თან იბრალებს, საკუთარი ვარჯიშის მეთოდიკა მაქვსო. თანდათანობით მივხვდი, რომ გაჩნდა ექიმთა ახალი რასა, რომლებმაც მრბოლები და მათი სპორტული დირექტორები დააჯერეს, დოპინგით კი არ აღწევთ წარმატებებს, არამედ ჩვენი სპეციალური საწვრთნელი პროგრამებითო და ამით უდიდესი დარტყმა მიაყენეს ველოსპორტს.

სპორტის სხვა სახეობებში ამ თაღლითებს ასეთი გასაქანი არ ექნებოდათ, რადგან სხვაგან არცერთი მწვრთნელი არ დააყენებს ეჭვქვეშ თავის ტექნიკურ-ფიზიკური წვრთნის მეთოდს. ამის მიზეზი უმარტივესია — მწვრთნელის ჩამოყალიბებას მრავალი წელი სჭირდება, რომელთა განმავლობაშიც იგი ძირითადად თავისი გამოცდილების დაგროვების ხარჯზე აღწევს წარმატებას. თავის კაბინეტში ან ლაბორატორიაში ჩაკეტილ ექიმს კი ამ გამოცდილების შესაძენად დრო არ აქვს.

ექიმ-მწვრთნელების ახალმა რასამაც ველოსპორტს და მასავით გამძლეობაზე დამყარებულ სხვა სახეობებს შესთავაზა თავისი მომსახურება, სადაც უფრო შესაძლებელი იყო მათი ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის ცოდნის გამოყენება. ისინი სპორტსმენებს სამუშაოს შემცირებას და უკეთესი შედეგების ჩვენებას შეჰპირდნენ. აღარ იყო საჭირო მრავალსაათიანი გამასავათებელი ვარჯიში, მოსაგებად საკმარისი იყო ველოსიპედის ტარების ცოდნა და რაღაც წამლების ყლაპვა, რომლებიც ჯანმრთელობისთვის ვითომ უვნებელია. მათ იმითაც ისარგებლეს, რომ ველოსპორტში მწვრთნელები თავიანთი ცოდნის სისტემაში მოყვანას არ ცდილობდნენ და ერთმანეთს, ფაქტობრივად, არაფერს ასწავლიდნენ.

შესაბამისად, როცა მრბოლები და მათი თავკაცები „ჯადოქრების“ წინაშე აღმოჩნდნენ, რომლებიც მათ რაღაც სასწაულმოქმედ წამლებს აძლევდნენ და თავისებურ ვარჯიშთა „საიდუმლოს“ უმხელდნენ, მყის წამოეგნენ ანკესზე. დოპინგის მიღებისა და „დოქტორების“ ხელმძღვანელობით ვარჯიშის შემდეგ სუსტი მრბოლები გაძლიერდნენ, ძლიერები კი ლამის მოტოციკლისტებს უსწრებდნენ. და ვინ იტყოდა ამაზე უარს?!

ეს პროცესი ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაიწყეს უსინდისო ექიმებმა. 90-იანების დამდეგს კი ერითროპოიეტინიც გამოჩნდა, რომლის ორგანიზმში აღმოჩენაც შეუძლებელი იყო. ეპო-მ დიდი ზიანი მიაყენა ველოსპორტს, მაგრამ მისი ანალიზებით გამოვლენის შესაძლებლობამ პრობლემა მაინც ვერ მოაგვარა. ახლა უკვე სხვა პრეპარატები ინერგება — სინთეზირებული და მოდიფიცირებული ჰემოგლობინების ბაზაზე.

ექიმებმა თავიდან დოპინგი იმიტომ გამოიგონეს, რომ მძიმედ დაავადებული ავადმყოფებისთვის ტანჯვა შეემსუბუქებინათ და თუ შესაძლებელი იქნებოდა, ისინი განეკურნათ კიდეც. ამ ნივთიერებების ხშირი გამოყენება კი ჯანმრთელი ადამიანებისთვის დამანგრეველია. არადა, ახლა სწორედ ეს ხდება ველოსპორტში. ამხელა მსხვერპლშეწირვა...

ერთგვარი ჩაკეტილი წრეა. დოპინგით გაჭყეპილმა პელოტონმა რბოლის საშუალო სიჩქარე 4-5 კილომეტრ/საათით გაზარდა. ამის მერე შეტევა ძალიან გართულდა, თუ შეუძლებელი არ გახდა. რაც მეტია სიჩქარე, მით მეტია ჰაერის წინაღობა და მით ძნელია პელოტონის წინ განავარდება. ასე რომ, თუ იერიში გინდა, უფრო უნდა გაძლიერდე, ანუ მეტი დოპინგი მიიღო. სხვანაირად მოიერიშეებს ჰაერის კედლის განგრევა მხოლოდ მთებში შეუძლიათ, მაგრამ რამდენი მთიანი ეტაპი შეიძლება ჩატარდეს? სამბილები მთამსვლელები ხომ არ არიან?

ბოლო დროს დოპინგის გამოყენება შემცირდა, მაგრამ არა მრბოლებისა და მათი სპორტული დირექტორების სინდისის ქენჯნის შედეგად. ეს ძირითადად პოლიციელთა წარმატებული ოპერაციების ნაყოფია. მრბოლები კი უნდა მიხვდნენ, რომ მათი მტრები სინდისგარეცხილი ახალი რასის ექიმები არიან და არა სამართალდამცავები და მათი განმაქიქებელი ჟურნალისტები. სხვანაირად დოპინგი გაიმარჯვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნეტავი კულჰარდს!

სანიტრები და მედდებიც ზოგადად კოხტა გოგოები არიან, მაგრამ ეს ორი ტურფა მედიცინის მუშაკი კი არა, ოფიციალური ლამაზმანი გახლავთ. „მის სლოვაკეთი 2000“ იანა პორეჩნა (მარჯვნივ) და „ვიცე-მის სლოვაკეთი 2001“ ბარბარა პაპკოვა ნირვანაში ამყოფებენ სახელოვან ფორმულელ დევიდ კულჰარდს, რომელიც იმ ქვეყანაში განტვირთვისთვის ჩავიდა, რადგან „ფორმულა-1“ აგვისტოს მეორე ნახევრამდე ისვენებს.



# მე-18 ბუდესთან

მიმდინარეობს „აუგუსტა მასტერს კაპი“, პრესტიჟული საგოლფე შეჯიბრი და ფოტოზე ქვეყნის ხალხის წინ ყვანჯს იყენებს არგენტინელი ანხელ კაბრერა, რომელსაც უგლია, უგლია და 17 მოედანი შემოუგლია.

# შვიდჭიდური ამბორი

ამგვარ სცენებს ფრთხილად აღწერა სჭირდება და ამიტომ ასე ვიტყვით: 800 მეტრიანი გარბენის ფინიშის შემდგომ, რომელიც ედმონტონში, მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალთა შვიდჭიდის ბოლო დისციპლინა იყო, ბელარუსმა ნატალია სეზანოვამ (დახრილია) რუს ელენა პროხოროვას გამარჯვება მიულოცა.






# მოტოები

იაპონიაში, სუძუკას წრეზე მოტოციკლები დაქრიან. ბელგიელი სტეფან მერტენსი (წინ) და ჩინელი ჟონგ შენი გამძლეობას უმოწმებენ თავიანთ ბედაურებს. ფოტოზე ჩინელი უკან კია, მაგრამ მერე გაუსწრია.

# დრო მიდის, დრო აღარ ბრუნდება



ფოტოზე რომ ფოტოა, იქ მარცხნივ პელე ჩანს და წინა პლანზეც ფეხბურთის მეფეს ვხედავთ „კოკა-კოლას“ ბრაზილიური ფილიალის პრეზიდენტ სტიუარტ კროსთან ერთად. საქმე ისაა, რომ პელე და ცივი სასმელების გიგანტი თურმე თანამშრომლობას იწყებენ და ეს ისტორიული მომენტების შემცველი პრესკონფერენციაც მაგიტომ მოეწყო. პატარა პელეს სურათი „სანტოსში“ თამაშის დროინდელია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბეხელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge